1905

შ ი ნ ა ა რ ს ი

ჟურნალ „ჯეჯილისა“

		№ებ
I	ეხლავ დაგიჭერთ, კუდიანებო! (სურათი)	3
II	ია ლექსი—შ. მღვიმელისა	4
III	ძაღლმა როგორ დაიწყო კაცთან ცხოვრება—მ. ჯინწურაშვილისა	6
IV	ტყის ნადირი (თარგმანი)—ტასოსი	8
V	რა მოუვიდა სიმსუნაგით ბაციკა ბატკანს—თ. რაზიკაშვილისა	10
VI	ობოლი მოლლი (თარგმანი)—ვ. მიქაბერიძისა	22
VII	გამოცანები, მიხვედრილი ბავში, შარადა, ძაღლის საკვირველი სახელი, გასართობი და რებუსი	30
VIII	სალამი ლექსი—დ. თომაშვილისა	33
IX	ვახტანგ მეხუთე მეფის მეჯლიში—ა. სარაჯიშვილისა .	35
X	სამშობლოს სიყვარული	48
XI	კუტი (ანდერსენიდან) დასასრული—ს. ციციშვილისა . .	50
XII	ტროადის ომი, (ომისათვის სამზადისი)—ა. ყუმისთაველისა	59
XIII	წერილმანი: უჯრების ამოცანა, გამოცანა და სხვა. . .	63



საუმაწვილო ნახატებიანი

ჟურნალი

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაბუერდი, გახდი ყანაო'..
ი. დ.

№ IV

წელიწადი მეთექვსმეტე

ტფილისი
სტამბა ტ. მ. როტინიანცისა, № 41 || Тип. Т. М. Ротиніанца, Гол. пр. № 41
1905

Дозволено цензурою. Тифлисъ, 31-го Апрѣля 1905 г.

«ერლავ დაგიჭერთ, კუდიანებო!»

ია.

ელში ია ამოვიდა,
მიიხედა, მოიხედა,
მწყურიაო, ჩუმადა სთქვა,
დაძახება ვერ გაბედა.

ზღვის ორთქლი და ოშხიკარი,
რაც ცას დღისით აეწურა,
ცვარ-ნამებათ გადაქმნილი
იას გულზედ დაეპკურა.

გაზაფხულის კოხტა ყვავილს
გულს სიამე მოეფინა,
ველს სალამი მისთავაზა
და მადლობით ცას შესცინა.

კოპწიას და ჩანასკულსა
ლურჯ-ქათიბა — კაბიანსა

მთაც ნაკადულს ეგზავნიდა
ცივ-წინწკლება ქაფიანსა. —
და ეთვლიდა გამარჯობას,
ცხონდა თქვენი მშობელიო;
აქ ეს არის, მანდ შენა ხარ
გაზაფხულის მთხრობელიო!..
ველში ია ცქრიალებდა,
კლდეზედ წყარო ჩქრიალებდა;
მთა და ბარში გაზაფხულის
ეხვი მადლი ტრიალებდა.

შ. მღვიმელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძაღლმა როგორ დაიწყო კაცთან ცხოვრება.

ვეუანაზე ცხოვრობდა ძაღლი. არ იცოდა ვისთან მისულიყო, ვისთან ეცხოვრა. ერთხელ გზათ მიდიოდა და ტურას შეხვდა. კარგახანს მასთან ერთათ ტუეში იხეტიალა, ბოლოს მგლის ნაკვალევი შენიშნა.

— ვისია ეს კვალი? — ჰკითხა ძაღლმა ტურას.

— ეს იმისთანა ცხოველისაა, — მიუგო ტურამ, რომელიც, ღმერთმა ნუ ქნას და თუ შეგვხვდა, ჩვენ ორივეს დაგვახრჩობსო.

ძაღლმა ტურა მიატოვა და მგლის ნაკვალევს გაჰყვა. მგელმა დაინახა და ჰკითხა:

— ვინა ხარ შენ?

— შენი ერთგული მონა, — მიუგო ძაღლმა.

— კეთილი.—მგელი ძაღლთან ერთათ სანადიროთ წავიდა. გზაზე ახლა დათვის ნაკვალევი ნახეს.

— ვისი ნაკვალევია ეს?—იკითხა ძაღლმა.

— ეს იმისთანა მხეცისაა, რომელიც თუ მოინდომებს თათის ერთის დარტყმით გაგვანადგურებს ორივესო,— მიუგო მგელმა.

ძაღლმა მგელი მიატოვა და დათვის ნაკვალევს გაჰყვა.

— შენ ვინა ხარ?—ჰკითხა დათვმა ძაღლს.

— შენი ერთგული მონა,—მიუგო ძაღლმა.

— კეთილი, წამოდი,—უთხრა დათვმა და ტყეში შევიდა. გზაზე ორივემ ადამიანის ნაკვალევი ნახეს.

— ვისია ეს ნაკვალევი?—იკითხა ძაღლმა.

— ეს იმისთანა ცხოველისაა, რომელზე უძლიერესი ცხოველი არც-კია ქვეყანაზე—მიუგო დათვმა.

ძაღლმა დათვი მიატოვა, ადამიანის ნაკვალევს გაჰყვა, იპოვა კაცი და მას შემდეგ სულ მასთან ცხოვრობს.

მ. კინწურაშვილი.

(რუსულიდან)

ტყის ნადირი.

ერთ ხელ ერთი თავადი წავიდა სანადიროთ. დიდხანს დადიოდა ტყეში, ბოლოს მიაგნო ერთი ბებერი დათვის კვალს.

დაინახა თუ არა მხეცმა მონადირე დაიღრიალა, კბილები დააკრაჭუნა და ცდილობდა არ მიეკარებინა მონადირე თავის პატარა შვილისათვის. დათვის ბელი საცოდავათ წკმუტუნებდა და შიშით დედას ეკვროდა.

თავადმა ჩაკრა დათვს შუბი. დაიღრიალა დაკოდილმა დათვმა, დადგა უკანა ფეხებზე და ის იყო უნდა მივარდნოდა მონადირეს, მაგრამ თავადმა საჩქაროთ იშიშვლა ხმალი, დიდხანს ებრძოლა და ბოლოს საშინელი მხეცი დასცა ძირს. დათვის ბელი კი შეისვა ცხენზე, გასწია თავის ბინაზე და თან ფიქრობდა: «წავუყვან ჩემ შვილს ამ დათვის ბელს, დეე, დრო გაატაროსო».

შორს არ იყო ის ადგილი, სადაც მისმა მხლებლებმა დასცეს კარავი.

ბავშს გაეხარდა მამის საჩუქარი—დათვის პატარა ბელი, ეთამაშა, აჭამა, მერე გადაეხვივნენ ერთმანეთს

და როგორც გულითადმა მეგობრებმა ტკბილათ ჩაიძინეს კარვის წინ.

მძინარე თავადს ფცბათ გამოელვიძა, ესიზმრა რომ ბებერმა დათვმა მისი შვილი დაგლიჯა.

შეშინებული თავადი კანკალით წამოვარდა ზეზე. საჩქაროთ გამოვიდა კარვიდან და ნურა თვალმა ნუ ნახოს, რაც იმან ნახა: კარვის წინ ეძინათ მის შვილს და დათვ-ს ბელს გადახვეულებს. ისე ჩაეკონებოდენ ერთმანეთს, როგორც ნამდვილი მეგობრები, ამათ წინ იდგა ის საშიშარი ბებერი დათვი, რომელიც თავადს ეგონა მოვკალ ი ო. დათვი მონადირეს კვალზე წამოსულიყო შვილის საძებნელათ და ნახა რომ მის შვილს თავის მტრის ბავშთან ერთათ ჩახუტულს ეძინა.

— ჩემ საცოდავ შვილს ალარა ეშველება-რა, დათვი ფსათფოთ დაეგლეჯავს. შიშით გაიფიქრა თავადმა.

დათვი-კი ალერსით ბურტყუნებდა, ლოკავდა ყმაწვილსაც და თავის შვილსაც მერე მოავლო პირი თავის დათუნას და წაიყვანა ტყეში. ყმაწვილს-კი არა ავნო-რა.

შერცხვენილი თავადი იდგა და ფუფურებდა მიმავალ ბებერ დათვს.

ტასო.

(თარგმანი)

რა მოუვიდა სიმსუნაგით

გაცინა—გატკანს.

სე ემახდა ქალი თამარი ჩვენს ბატკანს, ზაფხულში რო სხვამ ძოვნათ მოგვართვა. ჩვენ, ბავშებს, ისე გაგვეხარდა, რომ სულ ერთმანერთს ვტაცებდით ხელიდან; ზოგი ცხვირზე ვკოცნიდით, ზოგი შუბლზე და ზურგზე.

შეტათ ჰატარა რამ იო. ეტეობოდა ობლათ, უდედოთ იო გაზრდილი, რადგან სიგამხდრით დუმის მაგივრათ ჰატარა ჩლუტე ხუჭუჭი მატულით დაფარული კაკლის ტოლა კუდუსუნი ჩამოკიდოდა. ხელიდან საჭმელს გულადათ გვართმევდა და ბაკაბუკით დარბოდა ფიცრის აივანზე. ეტეობოდა ფიცრებზე რაკარუკი ართობდა, რადგან თვითონვე ეურს უგდებდა ხოლმე თავის ფეხის ხმას და როცა გაჩერდებოდა და ბაკიბუკი მისწყდებოდა, ის გაკვირვებული იდგა და აქეთ-იქით იცქირებოდა,

თითქო კითხულობს, სად წავიდა ის ვიღაც რომ აბაკუნებდაო.

დღე სულ ჩვენთანა გვეკანდა და ვაზიზებდით.



ჰატარა გუგული ლენტებს ასვევდა ყელზე, რქებს უსინჯავდა და კბილებში თითს უყოფდა. სან ცხენივით დაუჰირებდა ხოლმე შეჯდომას, ბატკანი გაურბოდა და გუგული იატაკზე ეცემოდა ცხვირით.

— დასავალცქნია, დედილო, დავალცქნი, ეხვეწებოდა ხოლმე ჩემი ჰატარა დაია გუგული დედას. თან საკარცხელს მოარბეინებდა და ზურგზე უსვამდა. ბატკანსაც ეტუობოდა იამებოდა, ტკრინდებოდა და სიამოვნებით იზმორებოდა.

ძალიან შეგვეჩვია ბალღებს. სულ თან დაგვდევდა და რასაც ჩვენ გიახლებოდით, ისიც მადიანათ მიირთმევდა.

მეტათ გაწუწკდა, სასლში და აივანზე ცურცლავდა. მამა ჯავრობდა, რომ ბატკანი იატაკებს ასველებდა და ყვა-

ვილებს კორტნიდა. ბოლოს რის ვაი-ვაკლასით მოგვაშორეს და ინდოურებთან დაუწყეს დამწყვდევა.

პირველ ღამეს სწორეთ შეგეცოდებოდათ, ისე ბღაოდა და კედლებსა და კარებს ებღოტებოდა გამოსასვლელათ.

სახლში გუგული იჯაჭებოდა:

— «ლათ შეაგდეთ ჩემი ცაწკალი კაჭუმელი ცაქათმეცი, ლო მელია მოვიდეს და წაიკვანოს, ლაგა ვქნა მაცინა?»

ამ მელიისა გუგულს ძალიან ფასადი ჭქონდა, რაკი დაემუქარებოდენ ხოლმე, მელიას მიგცემთ, თუ კიდევ იგიჟებო.

— «ყვითელ თმიანი ქალები უყვარს მელიასო, ეტეოდა ხოლმე ძია მიხა. რამდენჯერ შემხვედრია გორის გზაზე მელია, უკითხნია: გუგულს ხო ისევ ყვითელი თმა აქვს, ხომ არ ფშავდებაო».

— მამა, ეკითხებოდა შეფიქრიანებული გუგული მამას, თმა გამიცავდა, ალა? ახლა აღალ წამიყვანს, ალა, მამა?

მამაც არწმუნებდა, რომ ჩემი შიშით აქ მელია ვერ მოვაო.

გუგული სტოდა და ძღეროდა:

„სელზედ მოგოგავს მელია
იძაქის თალუნანოცა!
ლომელი ბიწი იქნება,
ცემ გუგულც ქელი აქლოცაო“.

მაგრამ ბაციკა-ბატკნის საქათმეში დამწყვდევა ვერ ესიამოვნებოდა.

— დაიცა, მამილო, ცქმი ბატკანი ლო ცაქათმეცი გაადგე, განა ლა დაგიცავა იცეთი!

თან ღრიალებდა და ხუშურ-ხუშურ ცრემლებს აბნევდა.

* * *

ბოლოს ბაკიკა-ბატკანიც შეეჩვია თავის ახალ ბინას, ახალ მმობილ ინდოურებს და იმათ «კამპანიაში» ატარებდა დროს. იმათ საკენკს სჭამდა და ბალახსაც იმათთან მოვდა.

ინდოურებს ცოტა ეშინოდათ იმისი და როცა ის იმათკენ მირბოდა, გულგახეთქილი ინდოურები აქეთ-იქით იფანტებოდენ. ბატკანიც უკან მისდევდა დაფეთებული.



ალბათ ფიქრობდა: მტერი ნახეს და გარბიანო. თვითონაც ცდილობდა, თავი გადაერჩინა.

ინდოურებსაც ეგონა, შესაჭმელათ დაგვდევსო. კიკვიკ-

ხმაურობით ზოგი ღობეზე ხტებოდა, ზოგი ბანზე, ზოგი საბძელზე. და ძირს დამრჩალი ბატკანი გაკვირვებით შესცქეროდა დამფხალ ინდაურებს, რათ გამექცენ, რა ნახეს საშიშიო, იდგა გაბენტრებული და ბღაოდა.

ძალიან გაიხარა: ბაღჩა სულ გამოვა, ჰატარა ხეხილებს და ვარდებს ფოთლები სულ გაუკორტნა.

ინდოურებს და ქათმებს ხომ აღარ აცლიდა საკენკის აღებას, უტევდა, სჩხვერავდა, რქენდა, იშორებდა და სიმინდისა და ქერის მარცვლებს გაჩქარებული აკნატუნებდა

საკუჭნაოს დაინახავდა თუ არა ღიას, მაშინვე შიგ ეცემოდა, კომბოსტოს სწიწკნიდა, ჭარხალს ხრავდა და კარტოფილსა და ხახვს კაი მაზასავით ახრამუნებდა.

ჩვენს თამარს ძალიან უეკარდა, სულ ეალერსებოდა და ეჭუეჭუებოდა: «ჩემი ბაკიკა, ჩემი დუმიანი, სადა ყოფილა? რა მოიპარე? აბა მშიერი ხომ არ დამრჩიო? და ამისთანეები.

ბაკიკაც მივიდოდა, დასუნავდა, ხელებსა და კალთას უნახავდა, საჩემო აქვს რამე თუ არაო. თუ ჭქონდა რამე საჭმელი და უთავაზებდა, მერე ჯოხითაც რომ ეცემნა, ვეღარ მოიშორებდა, სულ ხელებში შესცქეროდა და კაბაში თავს უყოფდა. თამარსაც ძალიან ჰირის-ჰატივში ჭყვანდა თავისი მეგობარი, ოღონდ უფროსები ნუ დაინახავდენ და ბაკიკა ბატკანს რაც უნდა ეპარნა და ეჭამნა. სტაფილოები და ჭარხლები სულ დაღრღნა თაგვივით.

ძახსოვს, ერთხელ დედაჩემი როგორ გულგახეთქილი

ამოვარდა საკუჭნაოდან: დიდი თაგვი გაჩენილა საკუჭნაოში და ჭარხალი და სტაფილოები სულ დაუხრავსო.

დიდი ფაციფუცი შეუდგათ, დიდ დარდებში იყვენ: ახლა სულ ყველაფერს გაგვიფუჭებს და რა ვუწამლოთო. ხილი იქა ჭქონდათ შენახული და სხვა სალეველი.

მახეც დაუგეს, კატაც დაამწყვდიეს, მაგრამ მაინც არა ეშველა-რა: თაგვი ისევა ხრავდა, რაც ძირს ეყარა. გოგრებს გვერდები გამოუღრუტნა, კარტოფილსა და მსხვილ ხახვს გვერდები გამოაჭამა. ყველაზე ძეტათ ხახვის ჭამა გვიკვირდა; ვინ თაგვი და ვინ ხახვის ჭამა, რომ არ გაგონილიყო!



ბოლოს როგორც იყო მართალი გამოირკვა:

დედაჩემი ჩასულიყო და თურმე დგას ჩვენი ბაკიკა ბატკანი და ხრავს წითელ ჭარხლებს, ისეთი ცხვირი აქვს, როგორც სისხლი. რასაკვირველია, ბაკიკას გვერდები რიგიანათ დაუხილეს და ჭარხლისა და სტაფილო გოგრების ჭამა ამოაშხამეს.

ამას შემდეგ ძალიან ფრთხილობდა ბაკიკა საკუჭნაოში ჩასვლის დროს. თუ ვისმე ჭხედავდა ახლო-მახლო, შიგაც არ შეიხედავდა, სანამ თვალს არ აიცდენდა.

ამით არ გათავებულა იმისი მსუნაგობა.

აივანზე ყვავილები და სხვა ოთახის მცენარეები გვედგა. ამოგვეპარებოდა ხოლმე და გვიკორტნიდა ყვავილებს. მაგრამ ერთხელ-კი ჩამწარდა მოლხენა.

იქვე გვედგა ერთი ბუერა-მცენარე, მგონი არომას ეძახიან, მშვენიერი განიერი ფოთლები იცის, ნამდვილი მთის ხეობის ბუერა გეგონება. მეტათ ლამაზი რამ არის! მაგრამ ისეთი საზარელი მწარე გემო აქვს, კაცსა ჭგონია ცეცხლი მიკიდია ჰირშიო; თუ ერთი ბეწო გაღეჭა, მთელი დღე ჰირიდან არ გამოელევა იმისი სიმწარე.

ერთხელ აპარულიყო ბაკიკა აივანზე, ალბათ თუ მოეწონა განივრათ გაშლილი მწვანეთ მოხასხასე ფოთლები არომისა, ერთი ფოთლისათვის ხარბათ ამოეგლიჯა ნახევარზე მეტი გვერდი, მაგრამ გაღეჭვაც აღარ დასცლოდა.



უცებ ბღავილი და ბრახაბრუხი შემოგვესმა. გავცვიდით. ვნახოთ, ჩვენი ბაკიკა ბნედიანივით იატაკზე გორაობს, ფეხებს ფშეკს, ჰირიდან დორბლი გადმოსდის, ცხვირს იატაკს უსვამს და თავს აქეთ-იქით ახლის.

ბალღებს საშინლათ შეგვეშინდა. თამარი ტიროდა, ბაკიკა კვდებაო. გუგულიც ბაკიკაზე ნაკლებ არა ბღაოდა. ვერავის ვერ გაეგო, თუ რა იყო ბატკნის გაგიჟების მიზეზი, ზოგი რას იძახდა და ზოგი რასა: გაცოფდა, მოვკლათო. არაო, სხვები ამბობდენ, რეტიანი ყოფილა და რეტმა მოუარაო (საქონლის ბნედას რეტს ეძახიან). შეატყობინეს მამას. მამაც შეშინებული გამოქცეულიყო. იმ ზაფხულს მეზობლებს ბევრს გაუცოფდა ძაღლები და იმათგან დაბენი-

ლი ღორები, ცხვრები და ძროხები. ალბათ გაცოფდაო, ეფიქრა მამას და ძალიან აღელვებული იყო. მაგრამ ჩვენ-და საბედნიეროთ მალე თვალი შეასწრო არომას ჩამოფხრეწილ ფოთოლს და მიზეზი ბაკიკას გაგიჟებისა თავის თავათ გამოირკვა.

ამას შემდეგ ბაკიკა რამდენსამე დღეს ნაავდრ ძერასავით ღა დადიოდა და თამაშობისა და ქურდობის გუნებაზე სრულიად არ იყო. აივანს ხომ სრულებით აღარ მოჭკარებია და არომს რომ თვალს მოჭკრავდა, ისე გარბოდა გულ-გასეთქილი, თითქო მგელი დაინახაო.

* * *

ახლა სათონე გაიხადა სანადიროთ. იქ ტომრებით სიმინდი და ქერი იდგა ცხენებისა და წვრილ ფეხისთვის. რამდენჯერ მინახავს სათონიდან გამოვარდნილი ფქვილიანი ტუჩებით და ცხვირით, ან სიმინდი და ქერი უკნატუნებია. სიმინდს ხო ჰირდაჰირ ინდაურებივით მთელ-მთელსა ყლაპავდა. ჩვენები ზაფხულში სათონეს სამზარეულოთ ხმარობდენ ხოლმე და მუდამ დღე იქა ტრიალებდენ, გამოსვლაზე კარებს ბევრჯელ გამოუხურავს უშვებდენ. რაკი ბაკიკას გარეკვნა იცოდენ, უფროსები გვიშლიდენ, ბაკიკა სათონეში არ შეგვეშო, რომ იქაურობა არ აეოხრებინა.

რადგან ინდოურები კარებზე ტრიალებდენ, ბატკანიც იქვე იყო ხოლმე და თუ სათონის კარებს ღიას დაინახავდა, ხელათ შიგ ეცემოდა. დაადგებოდა, რასაც მოასწრებდა და ჭელაპავდა.

ერთხელ თამარას თავისი ბაკიკა ბატკანი სიმინდიან თაბახზე დაეუნებინა. იმდენი ეჭლაპა, სანამ უელში ამოედინებოდა, ვინა ჭვანდა დამშლელი, დიდები შინ არ იუვენ და თამარი იმისი დიდი ერთგული და მეგობარი იყო.

იმ დღეს ძალიან დახტოდა, მუცელი გაიძღარი ჭქონდა და მაძღარმა მუცელმა ხომ მხიარულობა იცის.

— გაძღა ჩემი დუმიანი ბიჭიო? ეალერსებოდა. კარგია ქურდობა, არა? ვერც არავინ გაიგებს და შეგვრჩება ეგ ერთი ქეიფი, ჩემო კარგო.

საღამოთი წუურვილი აუტუდა ბაკიკას და ხევზე წამდაუწუმ გარბოდა. მეორე დღეს მუცელი ცოტა თითქო შემოებერა და როგორღაც უურებ-ჩამოურით იყო, აღარც ისე დახტოდა და სიმინდს ხომ სულ აღარ ეტანებოდა. ახლა ხან თივაზე არბოდა, ხან კომბოსტოს თავებს სწიწკნიდა, მაგრამ ეტყობოდა, რომ გუნებაზე ვერ ბძანდებოდა.

საღამოთი მამასთან ბიჭი შემოვიდა, ბატკანი ავათ არის და რას ბძანებთ, დავკლა თუ რა ვუყო, უსულადოთ არ მოკვდეს, აფსუსია, მაგრე ძალიან გახლავთ გასუქებულიო.

მამა გაჯავრდა, დაკვლა როგორ შეიძლება, ავათმყოფის ხორცი რა საჭმელიაო.

გადავედით ბოსელში ავათმყოფის სანახავათ. ცხენთან იწვა, თავი ზღვეებზე დაედო და კვნესოდა.

ჩვენ მივედით, დავუწყეთ ალერსი და ლაპარაკი, მაგრამ იმან სრულებითაც არ მოგვაქცია ყურადღება.

— ეჰ, რა თქვენი დარდი მაქვს, მე საქმე მიჭირსო.

ჩვენ ხან თავი ავუღეთ, ხან ავაუნეთ, მაგრამ კინწიც მოსწყვეტოდა და ველარც ფეხზე დგებოდა.

ბიჭმა თქვა: «თივა დავუყარე, მაგრამ გემოთ აღარ ნახაო». მამა ჩემმა ბძანა, იეოს და როცა მოკვდეს მოკვდესო.

ჩვენ არ ვიცოდით რა სტკიოდა და აბა რა წამალს დავალეინებდით.

გუგული ღრიალებდა: «არ დაკლათ ცემი ბაციკა ბატკალი, ცემი ცაცოდავი კაწუმელიო». ყველა რამე მიზეზს ასახელებდა ბაციკას ავათმყოფობისას. ზოგი ამბობდა: ყვავილი იქნებაო, სხვები ამტკიდებდენ ამ ზაფხულს დასიცსავდა და ახლა სიცივეზე გამოაჩნდაო.

მხოლოთ ქალი თამარი იჯდა ჩიჩვირ-დაკიდებული. იმან იცოდა, რომ ბაციკა ბატკანი ძალზე სიმინდით გაამღო და ახლა სიმსუნაგემ გადაიტანა თანა.

მაგრამ რას გაამხელდა!

რას ვუშველიდით. მეორე დღემდე კიდევ იკოკსლა. ყველას უნდოდა გაეგო, თუ რამ მოჭამა, გასჭრეს და ფაშვი დამპალი სიმინდით ჭქონდა სავსე. ვეღარ ამოეცოცხნა და საწყალს ღორმუცელაობამ და ქურდობამ მოუღო ბოლო.

თ. რაზიკაშვილი.



ოგოლი მოლლი.

I

ციდმა სიცხე-ბაბანაქებამ თბილი ქვეყნის ტუეების ჭაერი სულ შეხუთა. დადუმებულიუვენ ხეირი დიდრონი მაგნოლიის და ბზის ხეები; სიო არსაიდან არ იძროდა, საშინელი საიდუმლოებით იყო მოცული მთელი არე-მარე. ამ სიჩუმეს მხოლოთ იშვიათათ არღვევდა ბუზანკალის ბზუილი, რომელიც უცებ ეცემოდა მიწაზე. სადღაც ბალახებში სისინებდა გველი; მოხვეულიყო, თავი მაღლა აეღო და ელოდა იქნება საზრდო საიდანმე მომეკლინოსო. მაგრამ ისეთი ბუღი იდგა სიცხისა, რომ უველა ცხოველები დამალულიუვენ სოროებში, ფრინველები ბუდეებში და მშიერმა ბორიტმა გველმა საჭმლის შოვნაზე სალამოდინ იმედი დაჭკარგა. ერთბაშათ შორიდან რაღაც ხმაურობა მოისმა,—თითქო ცულით ტეესა ჭკაფენ და გზას იკვლევენო. გველმა თავი წინ გამოსწია, რომ გაეგო საქმე რაში იყო და როცა დაინახა ხალხი, სისინით ხეირ ბალახებში გასრიალდა.

ცულის ხმა უფრო და უფრო მოახლოვდა. და, აი გაკაფულ ტეეში გამოჩნდა რამდენიმე ინდოელი, რომლებიც ჭრელი ნაჭრებით იუვენ მორთულნი, გული, ხელები და

ფეხები დახატული ჰქონდათ ფერადი საღებავი წამლებით. თავზე უფრიალებდათ, სამოთხის ჩიტისა და თუთიუშის შვენიერი ფრთები.

ამათ მოსდევდენ ორი ევროპიელი კაცი, ნაცრისფერ საზაფხულო ტანისამოსში გამოწყობილი.

— ახლა-კი წუნარათ უნდა წავიდეთ—უთხრა ბელადმა კაცმა, უხეირო ინგლისურ ენაზე,—მე შევნიშნე მაიმუნების კვალი...

— აი, მეც მესმის იმათი ჯეივილი, შენიშნა მეორემ.

ევროპიელებმაც ეური მიუგდეს, მაგრამ ვერა შენიშნესრა. მაინც ესენი ისე მოიქცენ, როგორც ინდოელებმა ურჩიეს, აიღეს ხელში თოფები, რომ ხეებს არ გამოზდებოდა და ისე ჩუმათ მიდიოდენ, რომ გამსმარი ფოთლების შრიალიც-კი არ ისმოდა ფეხ-ქვეშ.

მალე დაბურულ ტყიდან მოისმა რაღაც მხიარული ხმა.

მზე კარგათ გადაწეულიყო, ჰაერში ცოტა აგრილდა, როცა მონადირეები მივიდენ შვენიერ მინდორთან; ამ მინდორს გარშემო ამშვენებდენ მაგნოლიის, ბზის და ფორთოხლის ხეები.

გამოჩნდა მთელი ჯოგი მაიმუნებისა. მათ წინ მოუძღოდა ბელადი, ქოჩრიანი მაიმუნი, ყველაზე მაღალი მთელ მაიმუნებში, სახე ჰქონდა ჩაფიქრებული. დიდი სიფრთხილით იყურებოდა აქეთ-იქით, ჰაერს სუნავდა, თითქო ეძებდა აქ მტერი ხომ არსად ჩამალულაო. მაგრამ კაცები ისე

ფთხილათ ამოფარებოდენ ხეებს, რომ გამოცდილი ბებერი ბელადი მაიმუნიც ვერაფერს მიხვდა. ბელადი მაიმუნი მიუახლოვდა ჰატარა მდინარეს, რომელიც შუა მინდორში ჩამოდიოდა, კიდევ ერთხელ მიიხედ-მოიხედა, დაჯდა მიწაზე და გადახედა ამხანაგებს, თითქო ეუბნებოდა:

— ითამაშეთ, იცელქეთ, მე-კი გიდარაჯებთო.

ჯოგმა, რომელიც უკან მოსდევდა, გაიგო ბელადის ბძანება და მხიარულათ გაიფანტა აქეთ-იქით, ზოგნი ხეებზე ავიდენ ხილის მოსაძებნათ, ზოგნი ჩრდილში წამოწვენ და ერთმანეთს კაჭაჭებს აცლიდენ, სიარულის დროს რომ მოსდებოდათ; დედა მაიმუნები-კი გარშემო დასხდენ და შუაში შვილები სათამაშოთ გაუშვეს. ზოგმა, რომლებიც უფრო სისუფთავის მიმდევარნი იყვენ, შვილები წყალზე წაიყვანეს, ჰირისახე და თათები დაბანეს, მერე ხილს აჭმევდენ.

ერთბაშათ შორი ტყიდან მოისმა მხიარული ხმა, ეს ხმა იყო ერთ მაიმუნთაგანისა, რომელსაც ეპოვნა მწიფე ფორთოხლებით მსხმოიარე ხე და იწვევდა ამხანაგებს, მოდით თქვენც შეექეცითო. მალე მინდორზე მოზიდეს აუარებელი ფორთოხლები. ყველამ ბევრი ჭამა, მხიარულობდენ, როგორც-კი შეიძლება მხიარულობა მაიმუნებს შორის.

II

ერთბაშათ მდინარის ახლოს მოისმა ხმა: ეს ხმა იყო

მოხუცებული ბელადი მაიმუნისა, რომელმაც შენიშნა ხეს-თან აფარებული კაცი. უმალვე შესწყდა მხიარულება მაიმუნებ შორის. ერთ წამს მაიმუნები გაჩუმდენ, შემდეგ სწრაფათ ახტენ ხეებზე და სადღაც გაეშურენ, წახვლის დროს არ დაივიწყეს თან ფორთოხლების წაღებაც.

შვილებმაც დიდებს მიჰბაძეს, გაანებეს თამაშობას თავი და დედებს გაჰყვენ. ზოგმა მაიმუნმა შვილები ზურგზე შეისვა, ზოგმა იღლიაში ამოიჩარა და ისე გაიქცენ.

— ახ, რა გული დამწყდა!—თქვა ერთმა კაცმა,—ვუშურეთ, ვუშურეთ და ვერც ერთი-კი ვერ დავიჭირეთ.

ჯერ ამის თქმა არ გაეთავებინა, რომ ერთი ფორთოხლის ხის ძირიდან მოისმა გულ-საკლავი, საცოდავი ხმა. მონადირეებმა ამ ხის ქვეშ შენიშნეს ბატარა მაიმუნი. ალბათ საწყალი, იმ ფაცაფუცში დედას თუ დაავიწყდა. ბატარა საცოდავი ხმით წიოდა, უმახდა დედ-მამას. ერთ წუთის შემდეგ ამ წივილს აშფოთებული ხმა შეუერთდა ტოტიდან, ეს ხმა იყო დედა-მაიმუნისა, საცოდავი დედა გაძწარებული მიეჩქარებოდა შვილთან, ეშინოდა ხიდან არ ჩამოვარდეო და ამიტომ ხან ერთ ტოტს მოეხვეოდა კუდით და ხან მეორეს.

აი დედა კიდეც მიუახლოვდა თავის ბაწაწკუნა შვილს, ხელი გაუშვირა ასაყვანათ, ერთი წამიც და თავის საყვარელი შვილი ხელში ეყოლებოდა,—მაგრამ დახეთ უბედურებას, ამ დროს ბუჩქებიდან ტყვია გამოვარდა და საცოდავ

დედას შიგ გულში მოხვდა. მაიმუნმა გულზე ხელი დაიდო, საიდანაც გადმოსჩქეფდა სისხლი. დასუსტებული მაიმუნი როგორც იყო მიხოხდა შვილთან, კანკალით აიუვანა ხელში, მაგრამ ღონემ უმტუნა, არაქათ-გამოლეულმა ოდნავ აიწია და რომ ვერ შესძლო შვილის აუვანა ისევ ფრთხილათ დასვა ტოტზე და თითონაც ახლო მოუჯდა.

სულთ-მობძავ მაიმუნს მოუახლოვდენ მონადირეები. დედამ უვედრებით შეხედა ევროპიელებს, დაიდო ჭრილობაზე ხელი, გამოიღო გასისხლიანებული თითები და გაუშვირა თავის მკვლელს, თითქოს ეუბნებოდა:

— აი, თქვენ ხომ მომკალით, გამამასალმეთ წუთი-სოფელს და დაარბლეთ ჩემი საცოდავი შვილი! რისთვის ჩაიდინეთ ასეთი სიბორტე, რათ არ შეიბრალეთ ჩემი შვილი.

მონადირეებს გული მოუკლა ამ სანახავმა, შერცხვათ და თავები ძირს ჩაღუნეს.

— თავის დღეში თოფს აღარ ვესვრი მაიმუნებს,—თქვა ერთმა იმათგანმა,—საწყალი მაიმუნი, საშინლათა ჭვავს ადამიანს!

მაგრამ სულთ-მობძავ მაიმუნს კაცისა არა სწამდა რა, გაიქნია თავი, ერთი დიდათ ამოიოხრა, გაიზმორა და განუტევა სული. შვილი შეასტა დედას მკერდზე და მოჭვა გულ-საკლავ ტირილს და ტიროდა მინამდის, სანამ მონადირეებმა ჰატარა მაიმუნი დედას არ მოაშორეს.

როცა კაცები წავიდენ, მაიმუნის მკვდარ გვამთან მო-

იკრიფეს თავი ბევრმა მაიმუნებმა. შემოეხვიენ მკვდარს გარშემო, გაანძრიეს, ხელები გაუწ-გამოუწიეს და, როცა დარწმუნდენ რომ საწყალი მაიმუნი ცოცხალი აღარ იყო, გულდაწყვეტით აიღეს თავიანთ მკვდარი ამხანაგი და წაასვენეს სადღაც შორს დაბურულ ტყეში, რომლისთვის უნდა მიებარებინათ უდროოთ დაკარგული ამხანაგის გვამი.

III

ჰაწაწკინა ობოლმა ბევრი იმოგზაურა ახალი ჰატრონის ჯიბით, ჰატრონი აწმეევდა მაიმუნს ფოთოლს, ფორთოხალს, სიმინდს. ჰატარა მაიმუნი ჩუმი და გამგონი იყო, ესმოდა თავის სახელი «მოლლი» და არჩევდა თავის ჰატრონს სხვა კაცებისაგან. წვრილ ჯაჭვით ყელზე მობმული მხიარულათ დასტოდა თავის ჰატრონის გარშემო.

აგრეთვე დიდხანს იმოგზაურა ჰატარა მოლლიმ ზღვაში ყემით. აქ ჰირველათ ნახა ბლომათ ხალხი, სხვა-და-სხვა შესანიშნავი ფრინველები, მრავალი ნადირი, რომლებიც თავისი ღმუილით შიშის ზარსა სცემდენ ჰატარა მოლლის. ამოდენა ხალხის და ჰირუტყვების შორის ობოლმა მოლლიმ იპოვნა მფარველი, ეს იყო მოწითალო ფერის დაღრეჯილი მაიმუნი, რომელსაც სახელათ ერქვა ნენსი. ახლა ჰატარა მოლლი ნენსის მფარველობის ქვეშ იყო დაისე აღარ ეშინოდა. ნენსიმ რომ დაინახა ჰირველათ მოლლი, სიხარულმა გაიტაცა, მივარდა, ჩაიკრა გულში და ბევრი ჭკოცნა და

მოუვა მაშინვე კაჭაჭების მოშორებას, რომელიც მოლლის ტუეში მიჭრობოდა მოგზაურობის დროს; ნენსი ცდილობდა მოლლი გაესუფთავებინა.

ამათ მეგობრობამ დიდხანს არ გასტანა. გემი ევროპის ნაპირს მიადგა. აქ მეგობრები ერთმანეთს გაეშორეს, დიდათ დაღონდენ მოლლი და ნენსი, დიდ წინაღმდეგობას აცხადებდენ პატრონების წინაშე, ნუ დაგვაშორებთო, მაგრამ პატრონებმა ეს ვერ შეიგნეს. ნენსი მიიყვანეს სამხეცოში, მოლლი-კი პატრონმა თავის სახლში წაიყვანა და თავის პატარა ქალს ინნას აჩუქა.

მამის დაბრუნების დროს ინნა ავათ იყო. მოლლის ნახვამ გოგონა გაამხიარულა, ზნე და სასიათი, რომლებიც ამ ავათმყოფობის დროს გაუფუჭდა, შეეცვალა.

მოლლი ძალიან ართობდა ინნას. გონიერმა მაიმუნმა ყველაფერი ძალე ისწავლა, მოლლი ისეთ რაღაცებს აკეთებდა, რომ ინნას სიცილით მოჭქანცამდა ხოლმე; ინნას ნაცნობი ბავშები დიდის ხალისით მოდიოდენ მხიარული მოლლის სანახავათ სწავლის შემდეგ. ასე რომ დილაობით მოლლი და ინნა უფრო მოწყენილნი იყვენ ხოლმე.

ვ. მიქაბერიძე.

(შემდეგი იქნება)

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი.

(წარმოდგენილი ს. დათუშიძისაგან).

ამ ჩემი ორი ჯოხით ქვეყანა გავზომეო.

(წარმოდგენილი გ. კაკბარაძისაგან).

ის რომელი ცხოველია, ჩუმათ რომ დაიარება,
კატის კნავილს თუ გაიგებს, იმ წამსვე დაიმალება.

(წარმოდგენილი გ. ძამუკოვისაგან).

უდედოთ დაბადებული, უჭმელათ გამოზრდილია,
ზაფხულში ბევრი ვინატრე მისი საამო ჩრდილია.

მიხვედრილი ბავში.

(წარმოდგენილი ბიქისაგან).

დიდიდედა წყლებიდან დაბრუნდა ქარებისაგან მოორჩენილი და ტატოს ახარა:—აი, შვილო, წყლებმა როგორ მარგეს, მუხლები როდი ღა მტკივა. შენც ხომ გიხარიან?

— ძალიან, დიდიდედა, მაგრამ ახლა როგორ უნდა შევიტყოთ, ხვალ კაი დარი იქნება თუ ცუდი?

შ ა რ ა დ ა.

(წარმოდგენილი მ. ლეფშვილისაგან).

პირველ სიტყვითა გლეხები ბატებსა მოიგერებენ.
განმეორებით—ბავშები თამაშობის დროს ხმარობენ,
კაკლებთან აცურავებენ, დახტიან, გულით ხარობენ.
მესამე რჩება ნიაღვარს, ქვიშასთან მინაგვარობენ;
მთელსა პატივისცემითა, ღიმილით მოუბარობენ.

ძაღლის საკვირველი სახელი.

ჩვენი ძაღლის სახელი სწორეთ რომ გამოცანაა: თუ უკანასკნელი ორი ასო მოაკელი გამოვა მცენარის ნაყოფი, რომელიც ზაფხულობით ძალიან გემრიელი საჭმელია, თუ წინიდან სამი ასო მოაკელი გამოვა მახვილი და მოკლებულ სამ ასოს თუ ერთს ხმოვან ასოს მიუმატებთ, ხელში სამეურნეო იარაღი შეგრჩებათ.

თუ ვისმე ჰყავს ძაღლი ან სხვა ცხოველი, ან და სათამაშო დედოფალა, რომლების სახელიდან, გამოდიოდეს ამ რიგათ რამდენიმე დასახელება, ვთხოვთ გვაცნობონ და დაებეჭდავთ „ჯეჯილში“.

გ ა ს ა რ თ ო ბ ი.

გზათ მიდიოდენ ერთი ქალი და კაცი. მათ წინ შემოეყარათ ახალგაზრდა კაცი.

— ვინ არის ეს ყმაწვილი? დაეკითხა ქალს მისი თანამგზავრი.

— ეგ არის დედის-ერთა შვილი დედიჩემის ერთათ ერთის ქალისა—მიუგო ქალმა.

გამოიცანით ვინ იყო ეს ყმაწვილი?

რებუსი

ი , ქალის სა-ხელი , ი , რ

ძნის შე-საკრავი , ე თ , ამ წლის 17 აპრილი , 8 , ი თ , მ ო თ ,

ე , ს მ , ე 1, 100 კაპეიკი , ს ხელში რა გიჭირავთ?

 , , ა , ე , თ ო

ს ა ლ ა მ ი.

ალამს გაძლევ, პაწაწინავ,
თავისუფალ ერის შვილო,
ჯერ კუკურო დაუმზრალო,
გაუშლელო, გაუფრჩქვნელო!

—

შენ მოგელის სხვა ცხოვრება
და სხვა გვარი ასპარეზი...
ხელს ვერ გახლებს შენ მტარვალი
და მჩხვლეტავი მისივ დეზი!..

—

ვერვინ შებოჭს შენს ძალ-ღონეს,
შენის სულის მისწრაფებას,
ენას ვერვინ დაგიდუმებს,
ვერც საყვარელ წმინდა მცნებას!...

—

რაც რამ არის გასაკეთი,
ან სალეწი სადმე კალო,—
იგი შენთვის არ იქნება
სამწუხარო, საეალალო!..

—

მისთვის ღერიდა შეუწყვეტლათ
ოფლსა შენი წინა პარი,
რომლის ღვაწლი გაგინათებს
გზას ვით შუქი, ვით ლამპარი! .

—

და შენც იმათ პატივი ეც,
გადუხადე მითი ვალი,
რომ მათ ღვაწლთან შეთანხმებით
ნაყოფს კრეფდეს მომავალი! .

—

სალამს გაძლევ, პაწაწინავ,
ჯერ კუკურო და ყვავილო!
გაგიმარჯოს, გაგიმარჯოს
თავისუფალ ერის შვილო!!.

დ. ოთმაშვილი.



ვახტანგ მეხუთე მეფის მეჯლიში.

ართველ ქართლის მეფე ვახტანგ V, — არ ვიცით, — თავის ძმისწულს ათხოვებდა, თუ დისწულს. არც ის არის ცნობილი თუ ვის აძლევდა მეფე თავის ნათესავს, მაგრამ ეს-კი ნამდვილად ვიცით, რომ ქორწილი მეფემ თავის სასახლეში გადაიხადა 6 თებერვალს 1673 წ.

ამ ქორწილს დაესწრო ცნობილი მოგზაური შარდენ, ვისიც დარბაზობა და ძღვნობა ამას წინ მოგახსენეთ,*) და გვიამბო მეფის გამართული მეჯლიში.

შარდენთან ერთად მოწვეულნი იყვნენ ჩვენნი ნაცნობნი: კაპუჩინების მოძღვარი და მეფის მკურნალი მამა რაფაელ პარმელი. ესენი რომ სალამოს ხუთ საათზე სასახლეს მივიდნენ, ჯვარის-წერას კიდევაც ათავებდნენ. ქორწინება იმავე დიდ დარბაზში იყო, საცა ამას წინად შარდენ წარუდგა მეფეს და ძღვენი მიართვა. ძალიან უნდოდა შარდენს ენახა ქართული ჯვარის წერა, მაგრამ, რადგან დარბაზი ქალებით სავსე იყო, არ შეუშვეს. კაცთაგან იქ არავის შეესვლებოდა, გარდა მეფისა და ბატონი-შვილებისა, კათალიკოსისა და ეპისკოპოსებისა.

მას აქეთ რაც ქართველები ყაენის უფლებას დაემორჩილნენ და სპარსული კულტურა შემოიღეს, კაცების საზოგადოებიდან ქალები

*) ნახე „ჯეჯილი“ № 2.

განდევნეს. ეს ჩვეულება თან და თან შემოდიოდა ჩვენში: ჯერ მეფის კარზე, მერე დიდკაცობაში, ბოლოს ქალაქისა და სოფლის ხალხშიაც და ისე დამკვიდრდა, რომ აქამდის არ გადავარდნილა სრულიად, ჯერ ახლაც ერიდება ბევრი ქალი კაცების საზოგადოებას,—ეითომ და ზრდილობაო.

ამ ჩვეულების დაგვარად საქორწილო მეჯლიში კაცებისათვის ცალკე იყო გამართული სასახლის დიდ ერდოზედ. ერდოს ოთხსავე მხარეს შემოელებული ჰქონდა ტახტები ერთი არშინის სიმაღლის და სამის სიგანისა, შუაში სიგრძეზე ხუთი ბოძი აემართათ, თითო სამის საჟენის სიმაღლისა, და ზედ ვეება კარავი გადაეხურათ. კარავი შიგნიდან მოფარდაგული იყო ოქროსა და ვერცხლის ფარჩებით, ხავერდით და ყალამქრებით ისეთის შეწყობითა და შეხამებით, რომ ლამპრების სინათლეზედ ჩუქურთმა და მუშამბა [1]) გეგონებოდა.

ერდოს შუაგულს დიდი აუზი იყო შადრევანით. ასე მოწყობილს კარავში მაინც არა ციოდა, ხალხის სიმრავლისა და დიდრონ გაღვიებულ მაყლებისაგან ისეთი სითბო იდგა, რომ ბოლოს დაცხა კიდეც. ერდო დაფენილი იყო შვენიერ ხალებით და განათებული ორმოცის დიდრონ შანდარით. ოთხი შანდანი მეფის წინ რომ იდგა ოქროსი იყო, დანარჩენი კი ვერცხლისა, და თითო ორმოც გირვანქამდე იწონიდა. შანდნის ძირს თხუტმეტი გოჯი ჰქონდა და ღერს—თვრამეტი, ზედ სანათი ედგა დაწმენდილ ქონით სავსე, ორის პატრუქით. ეს ლამპრები დიდს სინათლეს იძლევოდნენ... იმ დროისთვის, რასაკურველია.

ჯვარის წერა რომ გათავდა, მეფე შემოვიდა კარავს და დაჯდა შანიშინზედ, [2]) რომელსაც სალხინებელი [3]) აჩრდილებდა. ბატონს მარჯვნივ ბატონის შვილი და ბატონის ძმები მოუსხდნენ, მარცხნივ

---

[1]) კედლებსა და ჭერზედ შემოჩწილი და ნახატი სახეები.

[2]) მეფის საჯდომი, ამაღლებული ადგილი.

[3]) ბალდახინი.

—ეპისკოპოსნი; შარდენსა და კაპუჩინებს მეფემ პატიეი სცა და ეპისკოპოსების ქვეით დასვა. დიდებულნი ტახტებზედ მარჯვნივ და მარცხნივ ჩამოსხდნენ მათის ღირსებისამებრ. საზანდრები ქვეით დალაგდნენ შადრევანთან. სულ ასზე მეტი წვეული იყო.

გაეწყვნენ თუ არა სტუმრები, კათალიკოსმა ახლათ დაქორწინებული ბატონის სიძე შემოიყვანა და ეპისკოპოსებს შუა დასვა. მიეიდნენ მაშინვე სიძესთან საფისწულნი,[4]) მიულოცეს და საჩუქარი მისცეს. მერე მიეიდნენ დიდებულნი, ყველა თავის რიგზე, და მათმა მილოცვამ და ძღვნობამ კაი ნახევარ საათს გასტანა. საჩუქრად ოქროსა და თეთრს აძლევდნენ და პატარა ვერცხლის თასებს... ბევრი არა იყო რა და არც ძალიან დაუმძიმებიათ ბატონის სიძე იმ საჩუქრებით,—რომ დაგეფასებინათ, სულ ოცდახუთ თუმანს ძლიეს გასცილდებოდა.

ამასობაში ნადიმის მზადებას შეუდგნენ. პირველად სუფსაქეშებმა სტუმრებს წინ გაუშალეს სუფრები. ერდოს შუაგულობასაც გაშალეს სამგან სუფრა. ეს სუფრები ტახტის სიგანისა იყო. მერე მეგოდრეებმა მოიტანეს პური, სამ ნაირი,—მურასა (თრელი ლავაში), მადაური (თაფ-ლავაში) და კაკალ-პური,—და ჩაურიგეს. ხორცი დიდრონ ვერცხლის ყაბებით[5]) შემოიტანეს, ხუფებით დახურული. თითო ყაბი თავის ხუფით ოც და ხუთსა ან ოც-და-ათს გირვანქას იწონიდა.

ყაბები დარბაზის კართან სუფრაზე დაამწკრივეს, მერე აქედან სხვა ხელის კაცებმა ეს ყაბები სოიბათ-იასაულებს[6]) წინ დაუდგეს, და ახლა ამათ საჭმელი ბოშყაბებში[7]) ჩაასხმევინეს და მიართმევინეს ჯერ მეფესა და სეფის-წულებს, მერე აქეთ და იქით დარბაისლებს, მათის ხარისხის რიგზედ. ჯერ ერთი ფერი ხორცი მიართვეს ყველას, მერე მეორე ფერი, და ასე ბოლომდის.

---

[4]) მეფის ნათესავები.

[5]) დიდი ლაბა სინი, ვერცხლისა, სპილენძისა.

[6]) იასაულების უფროსი.

[7]) დიდი ჯამი, ბადია, ვერცხლისა, სპილენძისა, თიხისა.

ნადიმზე სამი რიგი საჭმელი მიართვეს და თითო რიგი სამოცის ყაბისა იყო. პირველად მრავალ გვარი ფლავი, სხვა-და-სხვა ფერისა და სხვა-და-სხვა მასალითა: ყვითელი—შაქრითა, ზაფრანითა და დარიჩინით, წითელი—ბროწეულის წვენითა და თეთრი—მარტივი. მეორე რიგი იყო კუპატები, ჩახოხბილები, ბოზართმები, ყაურმები და სხვა სანელებელიანი საჭმელი. მესამე რიგი—მწვადები. საჭმელი სახსნილო და სამარხოც იყო. სამლვდელოებისათვის მოჰქონდათ თევზი, კვერცხი და მწვანილი.

ამ საჭმელთაგან შარდენს ყველაზედ უფრო მოსწონებია უბრალო თეთრი ფლავი, როგორც ძალიან გემრიელი, ნაზი და შესარგი საჭმელი. მაგრამ გასაკვირალი მოგზაურ ფრანგისათვის დარჩა ის საგანგებო წესიერება და სიჩუმე, რომელიც სუფევდა ნადიმის მ'ახურობის დროს. ყველა თავის საქმეს უჩუმრად აკეთებდა. სამი ევროპელი სუფრაზე რომ ემსახურება, უფრო მეტს ხმაურობს, ეინემც ეს ას ორმოც-და-ათი სხვა და სხვა გვარი მოხელე და მოსამსახურე, რომელიც ახლა ამ დარბაზში ტრიალებდა.

წესიერების გარდა გასაოცარი იყო ღვინის ჭურჭელი. სასმელად სუფრაზედ იდგა ას ოცი თასი, ფიალა და ყანწი, და საღვინედ—სამოცი სურა და თორმეტი კოკა. კოკები თითქმის ყველა ვერცხლისა იყო; სურები—სადა ოქროსი ან მინაქრიანი; თასები და ფიალები—ზოგი სადა ოქროსი, ზოგი მინაქრიანი, ზოგი თვლებით მოჭედილი და ზოგიც ვერცხლისა; ყანწებიც—მინაქრიან ოქროთი და თვლებით მოჭედილი. ყანწები სხვა-და სხვა ზომისა იყო. ჩვეულებრივ, პატარა ყანწი სიგრძით რვა გოჯს არ აღემატებოდა და სიგანით—ორსა. ზოგი ყანწი მარტორქისა [8]) ან სხვა ნადირისა იყო, დანარჩენი კი ხარისა და ჯიხვისა.

---

[8]) უწინ სჯერდათ, ვითომც მარტორქის რქის ჭურჭელში მოწამლული სასმელი მაშინვე გამოჩნდებაო, ამიტომ ამგვარ ჭურჭელს დიდი თასი ჰქონდა.

ასეთი იყო სიმდიდრე ვახტანგ მეფისა, რომელიც, რასაკვირველია, მარტო ნაღდ ფულით არ იქნებოდა შეძენილი. ამ ძვირფასს ჭურჭელში ბევრი რამ იყო ნადაელი, მაგალითად, იმერეთისა და სამეგრელოს დაპყრობის დროს, როცა ვახტანგ მეფემ ააოხრა ეს ქვეყნები და დასვა თავისი შვილი არჩილ იმერეთის მეფედ (1661 წ.).

ჯერ სმა არ იყო და სტუმრები მაშინ შეზარხოშდნენ, როცა მესამე რიგი საჭმელი მოიტანეს. ახლა-კი დაიწყეს სადღეგრძელოები და გაიმართა სმა საოცარი.

ასე სვამდნენ: მიართმევდნენ მელვინეები რვა სტუმარს, ბატონის უახლოეს მჯდომარეს—ოთხს მარჯვნივ, ოთხს მარცხნივ—რვა ღვინით სავსე თასს, ერთ გვარსა და ერთის ზომისას. რვანივე წამოდგებოდნენ და მელვინეებს თასებს ჩამოართმევდნენ, ჯერ მემარჯვენენი დალევდნენ ერთად, მერე მემარცხნენი და ყველანი დასხდებოდნენ. ესენი რომ დასცლიდნენ, იმავე რვა თასს მათ ქვეით მჯდომარეებს მიართმევდნენ—ოთხს აქეთ, ოთხს იქით. ასე და ამ გვარად სუფრის ბოლომდე ჩამოურიგებდენ, ვიდრე ერთი სადღეგრძელო არ გათავდებოდა.

მეორე სადღეგრძელოს ამ რიგადვე დაიწყებდნენ და ჩამოატარებდნენ, მხოლოდ უფრო მოზრდილის თასებით.—ასე ყველა ახალ სადღეგრძელოზედ თასები თან-და-თან იზრდებოდა. რადგანაც ჯერ უმცროსების სადღეგრძელო დალიეს და მერე უფროსებისას მოჰყვნენ, ვინლა გაბედავდა და ვინ აწყენინებდა უფროსებს, რომ იმათი სადღეგრძელო დიდრონ-დიდრონ თასებით არ დაელია? ამიტომ აუცილებელი იყო რომ ყველანი ძალიან არ დამთვრალიყვნენ.

სმა დილამდე გაგრძელდა. შარდენ თავის ანხანაგებით კი ნადიმიდან შუალამისას წამოვიდა და ვერა ნახა რა ზომას მიაწია ბოლოს თასების სიდიდემ, მაგრამ რაც ნახა ისიც კმარა ჩვენდა გასაოცებლად. მისის სიტყვით, პირველს თასში ერთი ჭიქის მეტი არ დაეტეოდა, უკანასკნელი-კი,—მის წასვლისას რომ იცლებოდა,—ერთი ჩარექის ზომისა იყო, და ამასაც შუათანა ზომისას ამბობდნენო.

ვახტანგ მეხუთე მეფის მეჯლიში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენ წარმოიდგინეთ, რამდენი ღვინო უნდა დაელიათ, თუ სადღეგრძელო ასზე მეტი იყო!

შარდენსა და კაპუჩინებს მეფემ ხათრი შეუნახა და სადღეგრძელო არ დაალევინა. თორემ ამათაც რომ ქართველებისავით ესვათ, უეჭველია იქვე დაიხოცებოდნენ. ფრანგებს წინ ედგათ ღვინო, წყალი და ოქროს თასი და თავიანთ ნებაზედ სვამდნენ.

ასე სვამდნენ თურმე ჩვენნი წინაპარნი და ტყუილადა ჰგონია ზოგიერთს ჩვენს თანამედროეს, ვისაც ლხინი ხელობად გაუხდია, ვითამც შეეძლოსთ ოდესმე შეეცილონ სმაში ჩვენთა უებართა წინაპართა,—ამაო ცდაა!... ამიტომ დროა გონს მოვიდნენ და სმას თავი დაანებონ. თუ შვილმა მამას ხელობაში ვერ აჯობა, სჯობს სხვა ხელობას მიჰყოს ხელი. გვეყო, რაც მაგ სმით თავი შევირცხვინეთ.

მეფის ნადიმზედ სადღეგრძელოები რომ დაიწყეს, საზანდარებმა მომართეს თარი და ჭიანური და მოჰყენენ მღერას. ვერაფრად ეჭაშნიკა შარდენს ეს მუზიკა—მქისი და უმწყობრი, თუმცა საზოგადოებას ძალიან მოსწონდა. მეფეც ამ სიმღერას დიდად შეექცეოდა და ბოლოს ისე გამხიარულდა, რომ კაპუჩინების მოძღვარს უბრძანა მოეტანინებინა თავისი ეპინეტი, [9]) საკრავი წირვის დროს სახმარებელი.

ეს რომ ესმათ, მოძღვარი და მამა რაფაელ მკურნალი ჯავრით კინალამ გადირივნენ. ნეტა ეს შარდენ აქ მაინც არ ყოფილიყო, თორემ წავა ახლა ეს ლოთრანგი და მთელს ევროპას მოჰფენს, კათოლიკე მისიონერების მოძღვარმა იმდენი ლაჩრობა გამოიჩინა და თავი ისე შეირცხვინა, რომ მაჰმადიან მეფის წინ საზანდრობას მოჰყვაო, და მერე ისეთს საზოგადოებაში, სადაც ერეტიკოსებისა და ურჯულოების მეტი არავინ იყო, ისიც მთვრალები—ბერი თუ ერის კაცი.

მოიტანეს ეპინეტი, დადგეს დარბაზის შუაგულობას, მიუსვეს კაპუჩინების მოძღვარი და დააკვრევინეს. უბძანა მეფემ დაკვრასთან

---

[9]) პატარა, ბიანინოს მსგავსი საკრავი.

ემღერნა კიდეც, და მოძღვარმაც დაიწყო მღერა ლოცვებისა Magnificat, Te Deum და Tantum ergo. არ მოეწონა ბატონს ლოცვის კილოები და ახლა საერო სიმღერები ამღერა, იტალიანური და ესპანური.

ეპინეტი უმწყობრად მომართული, მოძღვარი თმა თეთრი და თეთრ-წვერი, სიბერითა და მაშვრალობით მოწყვეტილი, უგულოდ მომღერალი,—დიალამც ვერაფერი მოსალხენი კონცერტი იქნებოდა, მეფე-კი ბარე ორ საათს ამ სახიობას შეექცეოდა. რასაკვირველია, ეს გულწრფელი სიამოვნება-კი არ იყო, არამედ მთვრალის დესპოტის ჭინიანობა და ჭირვეულობა, მასხარად აგდება უმწეო ფრანგებისა, რომელნიც ურჩობას ვერ გაუბედავდნენ.

არ მოეწონა მოძღვარის საქციელი ერთს ქართველ ეპისკოპოსსაც და საყვედური უთხრა მამა რაფაელ მკურნალს: „რაო,—იმავე გალობით ეკლესიაში ღმერთს უნდა ადიდებდეს და ამ ნადიმზედაც დარბაზის ერს შეაქცევდესო?!“ მამა რაფაელიც დიდად გულ-ნაკლული იყო ამ ამბით და ასე აუხსნა შარდენს თავიანთი მდგომარეობა: „ძალიანა მწყინს, რომ მეფემ ასე დაგვიბრიყვა და ჩვენს მოძღვარს საცა უნდა ამღერებს, მაგრამ რას იზამ, თუ-კი ჩვენი სიცოცხლე და ჩვენი ბედი იმის ხელშია!“

ასე ჩაუშხამა ფრანგებს ვახტანგ მეფემ თავისი მასპინძელობა და ალერსი.

შუალამისას ფრანგები რომ ეთხოვებოდნენ, მეფემ ჰკითხა შარდენს: „როგორ ბძანდება ესპანიის მეფე, ჩემი ნათესავიო!“ დალია მისი სადღეგრძელო ოქროს თასით, თვლებით შემკულითა, და ფრანგებსაც იმავე თასით დაალევინა.

ვინ იცის, რისთვის დალია ვახტანგმა ესპანიის მეფის სადღეგრძელო?—გოროზობით მოუვიდა, თუ თავისივე სიბრიყვისა შერცხვა და კაპუჩინების მოძღვრისათვის ნატკენი გული უნდა დაეშოშმინებინა, რადგანაც იცოდა რომ მოძღვარი ესპანელი იყო,—ძნელი მისახვედრია. ეს-კი ნამდვილად ვიცით, რომ ქართლის მეფე ესპანიის მეფეს თავის ნათესავად სთვლიდა.

ეი როგორ აღმოაჩინეს ეს ნათესაობა. საქართველოს ძველებური სახელი ივერია იყო და ესპანიისა—იბერია, და ამ მიზეზით პაპმა ურბანო მერვემ კახეთის მეფეს თეიმურაზ პირველს უწოდა ვითომც, თავის ეპისტოლეში, ესპანიის მეფის ნათესავად და ქართველნიც ესპანელების მოძმე ერად. მას აქეთ დაიჩემეს ქართველებმა და მეტადრე ქართლის მეფეებმა ეს უცნაური ნათესაობა.

მაგრამ არც ისე სასაცილო იყო ეს ამბავი, როგორც კაცს პირველად ეჩვენება.

მას აქეთ რაც ოსმალებმა ბიზანტიის იმპერია დაიპყრეს, საქართველოს დაეხშო განათლების კარი, მოსწყდა საქრისტიანო ქვეყნებსა და კულტურას. განათლებულ ბერძნების მაგიერ დამკვიდრდა მხეცი ოსმალო, გუშინდელი ქუჩის ხალხი. კავკასიონის გადაღმა თვალგადუწვდენელი მინდვრები ნადირი ხალხით იყო დაშენებული და მას იქით რუსეთი,—მიუვალი, მიუწდომელი. დარჩა ისევ სპარსეთი, ერთად-ერთი წყარო ნიეთიერის და სულიერის კულტურისა,—ამას გარდა საქართველოს ლხვა გზა არსით ჰქონდა.

ჩვენ რომ ყარაბაღის ან ყაზახ-ბორჩალოს ხალხსავით ვყოფილიყავით, დიაღამც შეეჯერდებოდით ამ კულტურას და დავრჩებოდით აქამდის სპარსელების მიმბაძველებად და შეგირდებად. მაგრამ ქრისტეს მოძღვრების აღსარებასთან ერთად ჩვენს გულს აღეგზნო დაუცხრომელი წყურვილი განათლებისა. სხვა განათლების წყაროს რომ ვერ მივწვდით, მივიღეთ სპარსელებისაგან და შეეითვისეთ რაკი ებადათ სამრეწველო და გონებითი ნაწარმოებისა: სახელოსნო, სახელოვნო, საპოეზიო და მეცნიერების ნამცეცი და მაინც ვერ მოვიკალით ცოდნის წყურვილი, მაინც გვინდოდა შეგვეტყო რა ცხოვრება იყო და განათლება სპარსეთისა და ოსმალეთის საზღვრებს იქით — მოსკოეს, ესპანიას, რომს, საფრანგეთს, პოლონეთს. სული გვეხუთებოდა მაჰმადიანობაში.

ჩვენი მეფეები, თვით გამაჰმადიანებულებიც, ძალიან მოსურვებული იყვნენ ევროპის ამბებისა, მუდამ სცდილობდნენ დაახლოვე-

ბას იქაურ ხელმწიფეებთან, რომ ქვეყნის მარაქაში გარეულიყვნენ, და ხან რომის პაპს სწერდნენ წერილებს, და უგზავნიდნენ დესპანს, ხან გერმანიის კეისარს, ხან პოლონეთის მეფეს, ხან შვეციის მეფეს და ხან ამსტერდამის ბურგომისტრს... რუსთ ხელმწიფეს ხომ თავი მოაბეზრეს.

თავი და თავი საგანი ამ მიწერ-მოწერისა, რასაკვირველია, იყო თხოვნა შველისა: გვიხსენით ურჯულოებისაგანაო! მაგრამ ამ განუწყვეტელის ლაღადის გარდა ყველგან სჩანს მეფის სურვილი შესძინოს რამე ან ეკლესიას, ან ვაჭრობას, ან მწიგნობრობას,—ერთისსიტყვით, შემოიტანოს ევროპიდან მცირე რამ გაუმჯობესება მაინც.

ასეთივე მოტრფიალე ევროპის კულტურისა იყო ვახტანგ მეფეც. ამან მიიღო თავის მფარველობის ქვეშ კათოლიკე მისიონერები, დაასახლა გორსა და ქალაქს, აჩუქა სახლები მათის ეკლესიებისა და მონასტრებისათვის და მუდამ შემწეობას აძლევდა, იმ იმედით რომ ეს კაპუჩინები ევროპის განათლებისას რასმე შემოიტანდნენ, მეტადრე მედიცინას, და მოიზიდავდნენ უცხოეთიდან ვაჭარსა და ხელოსანს ხალხს, რომელიც აქ, საქართველოში, დასახლდება. ასეთი იყო ვახტანგ მეფის ოცნება.

შარდენის მოსელამ და მისმა ძღვენმა გაუცხოველა მეფეს ეს ოცნება. მეფემ თავის თვალით ნახა ფრანგი ვაჭარი—განათლებული, ჭკვიანი და მხნე. სად ეს გამბედავი სოდაგარი ინდოეთიდან იანგიდუნიამდე [10]) მოვაჭრე და სად ჩვენი ქალაქელი მატრაბაზი—უვიცი, მხდალი და ვირ-ეშმაკა, რომელიც თავრიზს იქით ვერ წასულიყო. უწინაც ენახა მეფეს და ახლაც ნახა საფრანგეთის საქონელი ტურფა და გამოსადეგი, რომლის ფასი უფრო ნაკეთის ხელოვნებაში იყო, ვინემც მასალის სიძვირეში, და, რასაკვირველია, დაადარებდა სპარსეთის საქონელს—ტლანქსა, შეუცვლელსა და მუდამ ერთისა და იმავე სახისას.

---

10) იანგი-დუნია, თათრულად—ასული ქვეყანა, ამერიკა.

ოლონდ-კი რამდენიმე ფრანგი ვაჭარი მოვიდეს საქართველოს და აქ საფრანგეთის საქონლის ვაჭრობა დაიწყოს, მეფე არამც თუ არა ვითარ ბაჟს არ გადაახდევინებს, ყოველ გვარს შეღავათს და შემწეობას ამოუჩენს.

ეს თავისი ნატვრა ვახტანგ მეფემ კაპუჩინების მოძღვარსა და მამა რაფაელ მკურნალს გაუზიარა, მეჯლიშის რამდენისამე დღის შემდეგ, და სთხოვა: შეაგონეთ შარდენს, მისწეროს საფრანგეთის სოვდაგრებს, ეგების მოვიდეს ეინმე და ვაჭრობა დაიწყოსო. „მე ხელი შაე ზღვამდე მიმიწვდის, სპარსეთში დიდი გაელენა მაქვს და ოსმალეთშიაც დიდად მიჩნეული ვარ. საფრანგეთის სოვდაგრებმა ინდოეთს სავაჭროდ წასელა რომ მოინდომონ, უკეთესს გზას ვერ იპოვიან, თუ არ ჩვენს საქართველოზეო. თუ ერთხელ ამ გზით გაიარეს, დარწმუნებული ვარ, მერე სხვა გზებს თავს დაანებებენო“.

ჰქონდა ვახტანგ მეფეს თვალ-წინ გეოგრაფიული რუკა, თუ არა,—ძნელი სათქმელია, მაგრამ ის-კი უეჭველია, რომ მეფეს გონება სწორედ უჭრიდა. იმ დროს საფრანგეთსა და ინდოეთს შორის უმოკლესი გზა საქართველოზედ უნდა გასულიყო. და თუ ოდესმე სავაჭრო მიმოსელა ჰაეროსტატით გაიმართა, უეჭველია, პარიჟიდან კალკუტას წამოსული საქონელი საქართველოს გადმოაფრინდება.

შარდენს ძალიან მოეწონა მეფის აზრი, დაუმადლა, კაპუჩინების პირითვე, იმ მოწყალებისათვის, რომელსაც მეფე საფრანგეთის ვაჭრებს ჰპირდებოდა და ასე შეუთვალა: „უთუოდ შევატყობინებ ჩვენს ინდოეთის სავაჭრო კამპანიას თქვენს სურვილსაო, და თუ თქვენც დასდებთ პატივსა და წიგნს მისწერთ ჩვენს კომპანიას, მე ეკისრულობ მის გაგზავნასაო.“

ძნელია თქვას ახლა კაცმა რა მოხდებოდა, ვახტანგ მეფის განზრახვა რომ ასრულებულიყო. საგონებელია, საფრანგეთთან ალებმიცემა რომ გამართულიყო, საქართველოში გამრავლდებოდნენ ევროპელნი, გაადვილდებოდა მიმოსელა, რომი უკეთ შეუწყობდა ხელს აქაურს მისიას და კათოლიკობა ჩვენში გაძლიერდებოდა; იქ-

ნება შეძლებულის ინდოეთის კამპანიის ეაჭრობას საფრანგეთის პოლიტიკური გავლენაც მოჰყოლოდა და საქართველოს ბედი სხვანაირად დატრიალებულიყო. მაგრამ ყველა ამისაგან არა მოხდა რა, იმიტომ რომ ვახტანგ მეფის დიდს სურვილს საკმაო გამბედაობა ვერ შესწევდა. მეფეს შეეშინდა ყაენის იჭვიანობისა.

მოლაპარაკების რამდენისამე დღის შემდეგ შარდენს ეწვია კაპუჩინების სახლში თბილელი, მეფის მიგზავნილი.

„ძალიან მომეწონა, შენ რომ მირჩიე ფაქტორიის[11]) დაარსებაო,—შემოეთვალა მეფეს,—მინდოდა კიდეც მომეწერა წიგნი ინდოეთის კომპანიისათვის და მეცნობებინა თუ, რამდენს სარფას ნახამდენ აქ რომ ეაჭრობა გაემართნათ, მაგრამ მოვერიდე. შაჰინ-შაჰის ჯანიშინი ვარ და ვაი თუ მისს ხელმწიფობას ეწყინოს, რომ მისდა დაუკითხავად უცხო კაცებს ვიწვევ სავაჭროდ. ისევ შენ მისწერე კომპანიას და სთხოვე თავისი ნოქრები გამოგზავნოს ჩემს სამეფოშიო. ბევრს საქონელს ჰპოვებენ აქ იაფ ფასად საფრანგეთში გასასაღებლად და რაც მაგ კაცებისათვის მფარველობა, შემწეობა და პატივი გემართებს,—თავს მიდვიაო.“

შარდენმაც უპასუხა თბილელს: „დარწმუნებული ბძანდებოდეს ბატონი, რომ მის ბძანებას აუცილებლად ავასრულებო.“

ასე ჩაიფუშა ყაენის შიშით ქვეყნის სასარგებლო საქმე.

დიდხანს არ დარჩენილა კიდევ თბილელი შარდენთან და წამობძანდა. თბილელის დარბაზობამ ძალიან ასიამოვნა კაპუჩინები: ეს პირველი მისელა იყო ქართველის ეპისკოპოზისა მისიონერების სახლში. არც თბილელი დარჩა გულნაკლული: გამოსალმებისას შარდენმა საუცხოო მარჯნის კრიალოსანი უძღვნა.

მეფეს-კი—

ესეღა დარჩა სანატვლოდ მის იმედისა დიდისა.

ალ. სარაჯიშვილი.

---

11) საკაკრო დწესებულება უცხო ქვეყანაში საალებ-მიცემო კომპანიისა, საქონლის საყიდი და საკაკრო ბიუროო, ნოქრების საგზომით.

სამშობლოს სიყვარული.

ეაცს ერთი ორათ ძალა ემატება, როდესაც თავის სამშობლოს, თავის მიწა-წყალს იცავს. სამშობლოს თავგამოდებითი სიყვარული მეომარს ნამდვილ გამარჯვებას მოუპოვებს. ამის მაგალითს იაპონელები გვიჩვენებენ.

ხშირათ დატყვევებულ და მკვდარ იაპონელებს უპოვნიან ხოლმე დედებისაგან და ცოლებისაგან მოწერილს სამაგალითო შინაარსის წერილებს. ერთ იაპონელ მეომარს უპოვეს ხელსახოცში გახვეული და გულზე ავგარიზათ ჩამოკიდული დედის წერილი:

„გემზე რომ ჯდებოდი მე შენ თამამათ გამოგესალმე. იაპონიის დასაცველათ საჭიროა დიდი მსხვერპლი. ჩემზე ნუ იჯაერებ, ნუ შეწუხდები, მშიერი არ მოვკვდები; მე-კი შენი სიკვდილით ვიამაყებ, რომ სამშობლოს შევწირე ის, რაც ჩემთვის უძვირფასესი იყო“.

მეორე მეომარს უპოვეს ცოლის შემდეგი წერილი: „მე მინდა რომ დაივიწყო შენი ცოლ-შვილი, გახსოვდეს რომ შენი ცოლიც და შენი შვილიც მხოლოთ შენი სამშობლოა. ნუ იწუხებ ჩვენთვის“.

აი კიდევ ერთი წერილი დედისა შვილთან თავის სოფლიდან მოწერილი:

„გუშინ ჩვენ ყველანი მივედით მისალოცათ დიდათ პატივცემულ და ბედნიერ ქალბატონ სანასთან, რომლის შვილი, როგორც ხელმწიფესაგან გამოცხადებულია, ყველას თვალ-წინ მამაცურათ მოკვდა. მთელმა სოფელმა თაყვანი სცა ამ დედას. იმას თავი ეჭირა ამაყათ და თავდაჭერით, როგორც ნამდვილ დედოფალს. მერე წავედით მადლობის გადასახდელათ მასწავლებელთან, რომელმაც გამოზარდა ამისთანა მამაცი მამულის შვილი“.

თვითონ ეს გმირი—მეომრები სამშობლოს საბედნიეროთ თავს

სწირავენ უშიშრათ და მხიარულათ. მათთვის სახელოვანი სიკვდილი სჯობია სიცოცხლეს.

ერთმა იაპონელმა მეომარმა, რომელმაც ტყვეობაში თავი მოიკლა, ასეთი ბარათი დატოვა: „ჩემი ძვირფასი სამშობლოს გასანთავისუფლებლათ ვწირავ მე ჩემ სიცოცხლეს. გთხოვეთ მისწეროთ ჩემ მიანებს, რომ მიკადოს შეატყობინონ როგორი მეომრები ჰყავს იმას. დეე, ჩემმა ცოლმა იამაყოს, რომ მის შვილებს ღირსეული მამა ჰყოლიათ. შეუძლებელია ტყვეთ იყოს თავისუფალი კაცი. თუ იმას არ ელირსა ომის ველზე სიკვდილი, თავის მოკვლა ხომ ადვილია“.

ასე, მთელი იაპონიის ქვეყანა, მთელი იმისი ხალხი, როგორც ერთი კაცი გატაცებულია ერთი აზრით, ერთი გრძნობით,—სამშობლოს სიყვარულით.



კუტი.

(ანდერსენისა) *)

ეორე დღეს ოლე და მისი ცოლი ისევ წავიდენ სამუშაოთ. ამ დღეს ჯერ საშინლათ ჩამოცხა, ბოლოს უცებ მოიღრუბლა, დაიქუხა და წამოვიდა ძლიერი შხაპუნა წვიმა. მუშა ხალხს მთლათ დაუსველდათ ტანისამოსი. ამ შემთხვევამ ხელ-მეორეთ აწყეველინათ თავ-ბედი ორიეე ცოლ-ქმარს.

დაბრუნებისას ოლემ და ქრისტინამ სჭამეს წინათვე დამზადებული რძის ქაში და რადგან ისევ სინათლე იყო ოლე მიუბრუნდა შვილს და უთხრა:

— აბა, განს, ერთხელ კიდევ წაგვიკითხე შეშის მჭრელის ამბავი.

— ამ წიგნში კიდევ ბევრი კარგი ამბები სწერია, რომელიც თქვენ ჯერ არ გაგიგონიათ—უპასუხა განსმა.

— შეიძლება აგრე იყოს, მაგრამ ჩემთვის საჭირო არ არის. მე იმ ამბის მოსმენა მინდა, რომელიც უკვე ვიცი და მამწონს კიდეცა. და ოლემ ერთხელ კიდევ სიამოვნებით მოისმინა შეშის მჭრელისა და მისი ცოლის ამბავი. ყოველ საღამოს ოლე და მისი ცოლი ხშირათ ლაპარაკობდენ ამ საგანზე.

---

*) იხილე „ჯეჯილი“ № III.

— რაც მეტი ხანი გადის უფრო და უფრო ეხედები მაგ ზღაპრის მნიშვნელობას, მაგრამ მაინც თითქო გარკეევით არ მესმის— თქვა ერთხელ ოლემ—ხალხი სწორეთ რძესავით არის: ზოგისაგან მშეენიერი ყველი კეთდება, ზოგისა კი ცალიერი ხაჭო გამოდის. ხალხიც ასეა; ზოგი იმათგანის ცხოვრება ისე მოეწყობა, რომ ყველაფერი აქვს, სიმდიდრე, ბედნიერება, არც კი ესმის თუ რა არის შიმშილი, გაჭირვება.

ამ სიტყვებს ყური მოჰკრა განსმა, რომელსაც მართალია ფეხები არ უვარგოდა, მაგრამ გონება გამჭიახი ჰქონდა. იმან გადაშალა თავისი წიგნი და წაუკითხა დედ-მამას „უდარდელი კაცის ამბავი". საქმე აი რაში იყო: „ერთ ქვეყანაში ხელმწიფე ავათ გახდა. სახელმწიფოს მეცნიერებმა გამოაცხადეს: „თუ ვიპოვით იმისთანა კაცს, რომელიც იტყვის ჩემს დღეში მწუხარება და სიღარიბე არ გამომიცდიაო და იმის პერანგს ჩავაცმევთ ავათმყოფს მაშინვე მეფე კარგათ გახდებაო". გამოიცა ბძანება, რომ ამისთანა კაცი უთუოთ ეპოვნათ. აფრინეს შიკრიკნი ქვეყნის ოთხსავე მხარეს, ყოველს სამფლობელოში, ყოველს სასახლეში, მდიდარსა და მხიარულ ხალხთან, მაგრამ როგორც კი შიკრიკები დაუწყებდენ გამოკითხვას გამოჩნდებოდა, რომ ყოველ მათგანს, მთელ თავის სიცოცხლეში უთოთ ერთხელ მაინც გამოეცადა რამე საგრძნობელი მწუხარება, სიღარიბე ან სხვა გაჭირვება.

„მე არაფერი ჯავრი არა მაქვს-რა—უპასუხა შიკრიკებს ერთმა მეღორემ, რომელიც წამომჯდარიყო ხევის პირას და მხიარულათ ღიღინებდა.—ქვეყანაზე ჩემისთანა ბედნიერი არავინ იქნება.

„მაშ მოგვეეცი შენი პერანგი! ხელმწიფისათვის გვინდა.—შეჰყვირეს ერთხმათ შიკრიკებმა—ნახევარ სახელმწიფოს მიგცემენ იცოდე.

მაგრამ... გამოჩნდა რომ მეღორეს პერანგი არა ჰქონდა, თუმცა თავს ბედნიერათ რაცხდა".

— აი, ყოჩაღ! შესძახეს ორივე ცოლ ქმარმა და მხიარულათ

კისკისი მორთეს. სწორეთ ამ დროს იმათ სახლთან გაიარა სოფლის სკოლის მასწავლებელმა.

— რა მხიარულათა ხართ დღეს! უთხრა მან ოლეს—იშვიათათ მინახვეხართ აგრე მოცინარი! ლატარიაში ხომ არა მოიგეთ-რა?

— ლატარია-კი არა და! უპასუხა ოლემ—განსმა გაგვაცინა. თავისი წიგნიდან წაგვიკითხა იმ „უდარდელი კაცის“ ამბავი, რომელსაც პერანგიც-კი არა ჰქონდა და თავი-კი ბედნიერათ მიაჩნდა. მართლა რომ რაღაც შვება ეძლევა კაცს, როდესაც მაგისთანა ამბავს ისმენს, მეტადრე წიგნიდან ამოკითხულს. სჩანს რომ მარტო ჩვენ-კი არა სხვებსაც აქვთ დარდი და მწუხარება. და ეს-კი ჩვენთვის რაღაც სანუგეშოა.

— ვინ მოგცათ ეგ წიგნი? დაეკითხა მათ მასწავლებელი.

— შარშან ბატონებმა აჩუქეს განსს სადღესასწაულოთ. იმათ იციან რომ განსს კითხვა უყვარს. ეს საცოდავი ხომ მთელ დღეს ერთ ადგილსა ზის. მართალი უნდა გითხრათ შარშან ჩვენ ხშირათ ვამბობდით, უმჯობესი იყო ბავშისთვის ერთი წყვილი საცვალი ეჩუქებინა-თქო, მაგრამ ეს წიგნი შესანიშნავი რამ გამოდგა, თითქო ყველა ჩვენს მწუხარებას ნუგეშს აძლევს.

მასწავლებელმა გადაათვალიერა წიგნი და დაუბრუნა განსს.

— აბა განს, ერთხელ კიდევ წაიკითხე ეგ ამბავი — უთხრა შვილს ოლემ—მერე-კი ისევ შეშის მჭრელისა წაიკითხე.

ეს ორი ამბავი ოლესათვის მეტათ ძვირფასი შეიქნა. ბრწყინვალე მზის სხივებივით ანათებდა მის გაჭირვებულ ცხოვრებას, უქარვებდა მწუხარე ფიქრებს, რომლებიც ისე ხშირათ უწამლავდენ უმისოთაც გაჭირვებულ ცხოვრებას.

განსმა-კი მთელი წიგნი გადიკითხა. ამ ზღაპრების კითხვის დროს, საბრალო ბავში, ფიქრით ხშირათ გადაფრინდებოდა ხოლმე იმისთანა ადგილებში, სადაც მისი უძლური ფეხების პატრონს მისვლა არ შეეძლო.

ამ დღეს მასწავლებელი მიუჯდა გვერდით განს და დიდხანს

ელაპარაკა. ორიევეს ძალიან ესიამოვნათ ერთმანეთის გაცნობა. ამ დროდან მასწავლებელი ხშირათ დადიოდა განსთან, როდესაც მისი დედ-მამა სამუშაოთ იყვნენ ხოლმე. განსისათვის ყოველი მასწავლებლის დანახვა დიდი ბედნიერება იყო. რა გატაცებით უგდებდა ყურს საბრალო კუტი კეთილ მასწავლებლის ლაპარაკს, რომელიც ისე კარგათ უამბობდა სხვა და-სხვა ქვეყნის ამბებს, უამბობდა რომ მზე ნახევარ მილიონჯერ უფრო დიდია ქვეყანაზე და ისე დაშორებულია დედამიწიდან რომ ზარბაზანი თუ ესროლე 25 წელიწადს ძლივს მიაღწევს მზემდინაო, მისი სხივები-კი ქვეყანაზე რვა წამს მოაწევენ ხოლმეო.

ესეები ახლა ყველა სკოლის მოწაფემ იცის, მაგრამ განსისთვის იმ დროს დიდათ საოცნებო რამეს შეადგენდა და დიდის აღტაცებით ისმენდა.

წელიწადში ორჯერ-სამჯერ მასწავლებელი ბატონებთან იყო ხოლმე სადილათ მიწვეული. ერთხელ ამ სადილზე მასწავლებელმა უამბო მებატონეს, თუ რა გაელენა იქონია მათმა ნაჩუქარმა წიგნმა მებალის ოჯახზე.

— ორი ამბის მოსმენით მთელი ოჯახი ნუგეშს პოულობს— ამბობდა მასწავლებელი—ჭკვიანმა ბავშმა ამ წიგნის შესაფერ დროზე კითხვით მშობლებს მოუპოვა სულის სიმშვიდე და სიხარულიო.

როდესაც მასწავლებელი მიდიოდა მებატონის ცოლმა მას ხელში ჩაუდო ორი ოქროს ფული განსის გადასაცემათ.

— დედას და მამას მიეცით! უთხრა განსმა მასწავლებელს, როდესაც მან გადასცა ქალბატონის საჩუქარი. ოლემ და ქრისტინამ-კი სიამოვნებით წაილაპარაკეს:

— ჩვენმა კუტმაც დაიწყო სარჩოს მოპოვებაო.

რამდენისამე დღის შემდეგ, როდესაც ოლე და მისი ცოლი სამუშაოთ იყვნენ მათი ქოხის წინ ბატონიანთ ეტლი გაჩერდა. კეთილ ქალბატონს ძალიან გაეხარდა, რომ გაიგო ჩემს საჩუქარს სიკეთე მოუტანია ღარიბი ოჯახისათვისო და მივიდა კუტი ბავშის სანახაოთ. თან მიუტანა ბულკები, ხილი, ერთი ბოთლი ტკბილი მაშა-

რაბი და მშვენიერი ყვითლათ მოოქრული გალია, რომელშიაც ლამაზი, მოჭიკჭიკე ჩიტი იჯდა, რამაც ყველაზე უფრო გაახარა განსი. განსს უნდოდა რომ ძვირფასი ჩიტისათვის მუდამ ეცქირნა და ამიტომ გალია დაადგმევინა კამოდის თავზე, რომელიც განსის ლოგინის პირდაპირ იდგა. ჩიტი ისე მშვენიერათ და ხმა-მაღლა გალობდა, რომ, არამც თუ განსს, მეზობლებსაც-კი მკაფიოთ ესმოდათ მისი ხმა.

როდესაც ოლე და ქრისტინა სამუშაოდან დაბრუნდენ განსმა იმათ დიდის სიხარულით უამბო ქალბატონის მოსვლის ამბავი და საჩუქრებიც აჩვენა. მართალია ბავშს მეტათ მხიარული სახე ჰქონდა და ქალბატონიც აქ აღარ დახვდათ—მაინც ოლემ ვერ მოითმინა და წაილაპარაკა:

— ეს საჩუქარი შველის მაგიერ გაჭირვებას მოგვიმატებს. მდიდარ ხალხს არ ესმით ვინ როგორ დაასაჩუქრონ.—ბუტბუტებდა ოლე—ახლა ჩიტი გაგვიხადეს მოსავლელათ! კუტ ბავშს ხომ არ შეუძლიან მაგის მოვლა! ბოლოს იმითი გათავდება რომ ჩიტს კატა მოიტაცებს.

გადიოდა დღეები, ამ ხანში კატა მართალია შემოდიოდა ოთახში, მაგრამ ჩიტს ახლო არ ეკარებოდა.

უცბათ შესანიშნავი ამბავი მოხდა!

ერთხელ საღილს უკან, როდესაც განსის მშობლები და ძმები სამუშაოთ წავიდენ, კუტი ჩვეულებრივ სახლში მარტოთ დარჩა. ის კითხულობდა მებადურის ცოლის ამბავს, რომლის ყოველი სურვილი უცებ სრულდებოდა: მოინდომა დედოფლათ გახდომა და შეიქნა ქვეყნის მფლობელი, მაგრამ, როდესაც თვით ღმერთობა მოინდომა უცებ ისევ თავის ღარიბ ქოხში გაჩნდა, ისევ ღარიბ მებადურის ცოლათ. თუმცა ამ ზღაპარს ჩიტთან არაფერი დამოკიდებულებამ ჰქონდა, მაგრამ შესანიშნავი ამბავი სწორეთ ამ ამბის კითხვის დროს მოხდა და ამიტომაც განსს ეს ზღაპარი თავის სიცოცხლეში არ დავიწყებია.

გალია კამოდის თავზე იდგა. კატაც განაბულიყო იატაკზე და

თავის მოყვითალო-მომწვანო თვალს ჩიტს არ აშორებდა, ხან-და-ხან ნაზათ წამოიკნავლებდა, თითქოს ამბობდა: „ახ, ჩიტუნიავ! რა მშვენიერი, რა გემრიელი ჩასაკნატუნებელი ხარო!“ განსმა შეხედა კატას და ცხადათ მიხვდა რასაც ნიშნავდა მისი განაბული ცქერა და ნაზი კნავილი.

— აცხა, აცხა!—შეჰყვირა განსმა—აცხა, შე წყეულო! დაიკარგე აქედან! მაგრამ ამ ძახილს კატამ ყურადღება არ მიაქცია და წელში გაიმართა, თითქო ჩიტის დასაჭერათ მოემზადაო. განსი ვერ მისწვდა კატას, ხელშიაც არა ეჭირა-რა, თავისი ძვირფასი საუნჯე—წიგნის—მეტი. ბოლოს, მეტი ღონე არ იყო, წიგნი ესროლა, მაგრამ წიგნის ყდა მეტათ სუსტი გამოდგა, მოეხა წიგნს და სულ სხვა მხარეს გადავარდა, წიგნიც იქვე ახლოს დაეცა. კატამ კი ორიოდ ნაბიჯი გადადგა და შეხედა განსს, თითქოს ეუბნებოდა: „რა შენი საქმეა, კუტო, ჩემთან ბრძოლა, მე სიარულიც ვიცი, ხტომაც; შენ-კი არც ერთი და არც მეორეო!“

საბრალო განსი თვალს არ აშორებდა კატას და საშინლათ ღელავდა. ჩიტიც საცოდავათ ფთხრიალებდა გალიაში. არც შინ და არც გარეთ ახლო-მახლოს არავინ იყო, რომ განსს დაეყვირა მაინც. კატა, უეჭველია, ამას კარგათ გრძნობდა. ის წელში რკალივით მოიკაკვა, თითქოს ის ის იყო უნდა სცემოდა ჩიტს. განსმა ახლა საბნის ქნევა დაიწყო, მაგრამ კატა ყურს არ უგდებდა. მას რას უზამდა განსის ღონიერი ხელები რაკი ფეხები უძლური იყო! ბოლოს, როდესაც საბანიც ესროლა და ვერ მოარტყა კატას, განსი შეინძრა, საწოლიდან ძირს პატარა სკამზე ჩამოხტა, იქიდან ფანჯრისკენ გაქანდა და მის ქვედა ფიცარს დაებჯინა, კამოდს მიუახლოვდა. საბრალო ბავშვი, გრძნობდა რომ თავი უხურდებოდა, სისხლი თავში უვარდებოდა, მაგრამ რა ამისი ჯაერი ჰქონდა! მთლათ მისი ყურადღება მიპყრობილი იყო საყვარელ ჩიტისაკენ. კარგათ იცოდა განსმა, რომ თავის საწოლს გარეშე ის უძლური იყო, სიარული-კი არა დგომაც არ შეეძლო. უცებ მთლათ მისი არსება შეიცვალა, როდე-

საც დაინახა რომ კატა ფანჯრიდან კამოდზე შეხტა, გალიას ეცა და ისე წამოჰკრა თათი რომ გალია გადმობრუნდა და ჩიტმა გულსაკლავი ფთხრიალ-წრიპინი შექნა. ამის დანახვაზე განსმა საშინლათ შეჰყვირა, გულმა კანკალი დაუწყო, თითქო თავბრუც დაეხვა, მაგრამ თავს ძალა დაატანა და გაექანა კამოდისკენ, ეცა ფეხებში კატას, გადისროლა ძირს, დაავლო გალიას ხელი, რომელშიაც შეშინებული ჩიტი ისევ ფთხრიალებდა, მიიხუტა გულზე, ეცა კარებს, გააღო და გავარდა გარეთ...

მხოლოთ კარში მიხვდა განსი, რაც მოხდა მის თავზე, სიხარულისაგან მდუღარე ცრემლები გადმოჰყარა და თავ-დავიწყებით შეჰქნა ყვირილი:

„მეც ვიელი!.. მეც ვიელიო!..“

კუტმა ბავშმა ხელ-ახლათ დაიწყო სიარული! ამგვარი შემთხვევა თუმცა იშვიათია, მაგრამ მოხდება ხოლმე კი.

მასწავლებელი ახლოს ცხოვრებდა და განსმაც მიაშურა თავის კეთილის მყოფელს. გალიით ხელში, ფეხშიშველა, პერანგისამარა ის გიჟსაებ შევარდა მასწავლებელთან და შეჰქნა ყვირილი: მე სიარული დავიწყე! სიარული! გმადლობ ღმერთო ჩემო, გმადლობ! და თან ლაპაღუპით ჰყრიდა სიხარულის ცრემლებს.

ეს დღე უბედნიერესი დღე იყო ოლეს და ქრისტინასათვის— ამაზე მეტი ბედნიერება ჩვენ არ გვინდაო—გაიძახოდენ ისინი.

განსი ბატონიანთ სახლში მიიწვიეს. რამდენი წელიწადი იყო, რომ მას ამ ბალში არ გაეევლო, ყველა ხეები კარგათ ახსოვდა და ამ ჟამათ ისე ეჩვენებოდა თითქო ისინი სალამს აძლევდენ და ეუბნებოდენ: „გამარჯობა განსო! ძალიან გვიხარის რომ კიდევა გნახე-

თო!“ ამ დღეს განისათვის მზეც თითქო სხვანაირათ სასიამოვნოთ ანათებდა.

ბატონებმა განსი ძალიან აღერსით მიიღეს. მოუსხდენ გვერდით და ისე სიამოვნებით ელაპარაკებოდენ თითქო მათი საკუთარი შვილი იყო. ყველაზე მეტათ კეთილ ქალბატონს უხაროდა განსის მორჩენა.

საბრალო ჩიტს შიშისაგან გული გაუსკდა და მალე მოკვდა, მაგრამ განსის მორჩენის მიზეზი-კი ის იყო. რაც შეეხება ზღაპრების წიგნს ამან არამც თუ განს მის, მშობლებსაც დიდი სარგებლობა მოუტანა. ეს წიგნი განსმა დიდის სიფრთხილით შეინახა, ხშირათ კითხულობდა და თან ამბობდა: არამც თუ ეხლა, როდესაც დავბერდები მაშინაც ვიკითხავ ხოლმეო.

— ეხლა მეც ვიმუშავებ და მშობლებს დაეხმარები—ამბობდა გახარებული განსი—შეეისწავლი რამე ხელობას, მაგალითათ წიგნების ყდების კეთებას. ეს ხელობა ყველაზე ძრიელ მომწონს, იმიტომ რომ შემეძლება ყველა ახალი წიგნები წავიკითხო ხოლმეო.

იმავე დღეს ქალბატონმა სადილს შემდეგ დაიბარა ოლე და ქრისტინა და გამოუცხადა, რომ განსი ძალიან ნიჭიერი ბავშვი ჩანს და მე და ჩემმა ქმარმა გადავწყვიტეთ, რომ წავიყვანოთ, სწავლაში მივაბაროთ და ვიზრუნოთ რომ ნასწავლი კაცი გამოვიდესო.

ამ დღეს ოლე და მისი ცოლი სამუშაოდან მეტათ გახარებული დაბრუნდენ სახლში. მაგიერათ ერთი კვირის შემდეგ ქრისტინე მდულარე ცრემლებს აფრქვევდა; დღეს უნდა განსი გამოთხოვებოდა მშობლებს. კეთილმა ქალბატონმა შეუკერა ტანისამოსი, მოუმზადა ყველაფერი, რაც-კი საჭირო იყო და ისტუმრებდა ზღვით, ლათინურ სკოლაში, სადაც რამდენსამე წელიწადს უნდა დარჩენილიყო.

ზღაპრების წიგნი განსმა თან ვერ წაიღო. მშობლებმა სთხოვეს, სახსოვრათ დაგვიტოვეო. მოხუცი ოლე ხშირათ კითხულობდა საყვარელ წიგნიდან მხოლოთ ორ ზღაპარს, რომელთა შინარსიც ზეპირ მოეიყვანეთ. სხვა ამბები მას არ ეხალისებოდა,

განსი ხშირათ სწერდა მშობლებს წერილებს, ერთი-ერთმანეთზე უფრო სასიხარულოს. ის ერთ კარგ მდიდარ ოჯახში სცხოვრობდა და სკოლაში დადიოდა, რაც მეტათ ახარებდა ნიჭიერს ბავშს. „ჯერ ბევრი რამ უნდა შევისწავლო—სწერდა განსი ერთ წერილში დედ-მამას—თუნდ ას წელიწადს მომიხდეს სწავლა—ჩემი სანატრელი სურვილია, რომ მასწავლებელი გამოვიდეო“.

— ნეტა თუ მოვესწრებით იმ დღეს!—წამოიძახეს ცოლ ქმარმა.—რა ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებული, ჩვენი განსი,—დაუმატა ოლემ—ძლიერი ღმერთი ალბათ ღარიბ ბავშებზედაც ზრუნავს, ჩვენი კუტი განა ამისი მაგალითი არ არის! მართლა რომ ეს ამბავი ერთ ერთ იმ ზღაპარსა ჰგავს, რომლებსაც განსი გვიკითხავდა ხოლმე.

ს. ციციშვილი.

(თარგმანი)



ტროადის ომი. *)



ომისათვის სამზადისი.

ელენეს მოტაცებამ შეურაცყო არა მარტო მენელაოსი, არამედ მთელი საბერძნეთი. პარისის თაეხედი და საზიზღარი საქციელი საბერძნეთის ყველა კუთხეში შურისა და სამაგიეროს გადახდის სურვილს ჰბადებდა. თვით ღმერთებმაც-კი მიიღეს მონაწილეობა მენელაოსის და მასთან ერთათ მთელი საბერძნეთის შეურაცყოფისათვის. ქალ-ღმერთებს ჰერას და ათინას ჯერ კიდევ არ დაევიწყებიათ ოქროს ვაშლის ამბავი და ამიტომ ყოველ გვარ ღონის ძიებას ხმარობდენ, რომ მთელი საბერძნეთი აემხედრებინათ პარისისა და ტროადის წინააღმდეგ.

მენელაოსი ჯერ კიდევ კუნძულ კრიტოსს იყო, როცა ქალ-ღმერთმა ირისმა შეატყობინა შვენიერი ელენეს მოტაცებისა და მთელი სამეფო ოჯახის გაძარცვის ამბავი.

ამ ამბის გამო მენელაოსი დაუყონებლივ სპარტას გაემგზავრა. სამწუხაროთ ირისის ქალ-ღმერთის ნაამბობი ყველაფერი მართალი გამოდგა. პარისს და ელენეს მენელაოსის მდიდარი ოჯახი სულ ერთიანათ გაეძარცვათ: რაიცა-კი ოჯახში ძვირფასი და ფას-დაუდებელი ნივთები მოიპოვებოდა, სულ ერთიანათ გაეზიდათ და ხომალდით ტროადაში თან წაელოთ.

---

*) ისილე „ჭეჭილი“ № III.

თავ-ზარ-დაცემული მენელაოსი დაუყონებლივ მიკენის მძლავრ მეფესთან აგამემნონთან გაემგზავრა, რათა თავის ძმისათვის პირის-პირ შეეტყობინებინა თავისი უბედურების ამბავი და რჩევაც ეკითხნა, როგორ უნდა მოქცეულიყო ამ შემთხვევაში. მიკენის მეფემ სულითა და გულით განიზიარა თავისი ძმის მენელაოსის უბედურება და ურჩია ძმას დაუყონებლივ ტროადის წინააღმდეგ გალაშქრება. „აქეველთა მეფეები მონაწილეობას მიიღებენ ამ ომში, რადგან ამათ ყველამ სიტყვა მისცეს მეფე ტინდარეის შვენიერი ელენეს გათხოვების დროს, რომ თუ საჭირო შეიქმნება, ყოველ შემთხვევაში ელენეს მეუღლეს დახმარებას აღმოვუჩენთო“. მენელაოსის უბედურება ისეთი შემთხვევა იყო, რომ თვითოეულ ელენეს ხელის მაძიებელს, თანხმათ მიცემულ პატიოსან სიტყვისა, ავალებდა მენელაოსისათვის დაუყონებლივ დახმარება აღმოეჩინა და მით თავხედი მტერი ღირსეულათ დაესაჯა.

მენელაოსმა და აგამემნონმა გადასწყვიტეს საბერძნეთის ყველა მეფეთა და წარჩინებულ გმირთათვის ეცნობებინათ განზრახული ომის ამბავი და პირის-პირ დახმარება ეთხოვათ.

პირველათ მენელაოსი და აგამემნონი გაემგზავრენ პილოსს მოხუცებულ გმირ ნესტორთან. მთელი საბერძნეთი, დიდი და პატარა, ვაჟი და ქალი, მოხუცი და ახალგაზდა, ყველანი დიდის პატივისცემით იხსენიებდენ პილოსელ მოხუცებულს გმირს და მის რჩევას და აზრს ყოველთვის და ყველგან განსაკუთრებულის ყურადღებით ექცეოდენ.

ყველასაგან პატივცემულმა გმირმა დალაგებით მოისმინა ატრიდელებთა ჩივილი და საგულისხმიერო მაგალითებით გაამხნევა შეურაცყოფილნი გმირნი: „დამნაშავეთ ღმერთები უსათუოთ დასჯიან“, უმტკიცებდა ტკბილათ მოუბარი პილოსელი მოხუცი მიკენის მეფეს აგამემნონს: „ამიტომ ტროადს წინააღმდეგ გალაშქრება საჭიროა, თავხედის, შეურაცხმყოფელის მტრის განადგურება—საბერძნეთის სამლეთო მოვალეობაა. მე მოხუცი ვარ, მაგრამ დიდის სიამოვნებით

მიეიღებ ომში მონაწილეობას. ომის კეთილათ დაგვირგვინებისათვის არაფერს არ დაეზოგავ, ყველაფრით ხელს შეგიწყობთ, ორივე ჩემს შვილებს ფრაზიმედს და ანტილოქს ომის ველზე გაეგზავნი და საბერძნეთის სახელის დიდებისათვის თვით სიცოცხლესაც-კი შეეაწირვინებო". მოხუცმა ამასთანავე აღუთქვა ატრიდებს სხვა აქეველთა გმირების მოწვევის დროს პირადათ დახმარებას აღმოგიჩენთო.

ძმათა ატრიდებმა დიდის სიამოვნებით მიიღეს მოხუცი ნესტორის წინადადება და მასთან ერთათ გაემგზავრენ ელლადის სხვა-დასხვა კუთხეში მეფეთა და წარჩინებულ და სახელოვან გმირებთა დასაპატიჟებლათ. მთელ საბერძნეთში სახელ-განთქმული ნესტორი მენელაოს და აგამემნონთან ერთათ ყველას არწმუნებდა, რომ პარისის თავხედური საქციელი ჩირქსა სცხებს არა მარტო მენელაოსის ოჯახს, არამედ მთელს საბერძნეთს. ელლადის სხვა-დასხვა კუთხის მეფენი და გმირნი დიდის თანაგრძნობით ინაწილებდენ მენელაოსის მწუხერებას შვენიერი ელენეს მოტაცების შესახებ, და ყველამ ერთხმად პირობა დასდეს ტროადის წინააღმდეგ გასალაშქრებლათ.

ომში მონაწილეობის მიღების თანხმობა გამოაცხადეს კუნძულ კრიტის მეფემ იდომენეუსმ, არგოსის მეფემ დიომედესმ, ევბეას მეფის ვაჟმა ბრძენმა პალამედმ, ეტის მეფემ ფილაქტეტმ, სალამინის მეფემ მძლავრმა აიაქსმ, ძმა მისმა თევკრმ და ლოკრელმა შესამჩნევმა გმირმა უმცროსმა აიაქსმ კუნძულ ითაკის მეფეს ბრძენსა და ცბიერს ოდისსევსის პირველათ განზრახვა ჰქონდა ომისათვის თავი დაეღწია, მაგრამ საერთო აღტაცებამ და მთელი საბერძნეთის ომისათვის სამზადისმა ოდისსევსიც აღაფრთოვანა და ატრიდებს ომში მონაწილეობის მიღების თანხმობა გამოუცხადა.

ოდისსევსის დახმარებით ატრიდებმა მოიმხრეს ფთიის მეფის პელეასის ვაჟი, გმირთა გმირი აქილლესი, რომელმაც ტროადელებთა საწინააღმდეგო ომში მონაწილეობის მიღება აღუთქვა. გარდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასახელებულ მეფეთა და გმირთა ომში მონაწილეობის მიღების სურვილი გამოაცხადეს მრავალმა სხვა სახელ-განთქმულმა გმირებმაც. ყველანი მოუთმენლათ მოელოდენ ომის დაწყებას და საბერძნეთის შელახულ სახელის აღდგენას, ყველა სულითა და გულით მოელოდა ტროადის განადგურებას და შვენიერ ელენეს უკანვე საბერძნეთში დაბრუნებას.

ომში მონაწილეობის მიმღებთა მსურველნი შეიკრიბენ ჰერა ქალ-ღმერთის ტაძარში და თათბირი გამართეს განზრახულ ომის შესახებ. საბერძნეთის ლაშქართა მთავარ სარდლათ ერთ-ხმათ არჩეულ იქმნა მიკენის მეფე აგამემნონი. გმირებმა ერთი მეორეს ერთგულება შეფიცეს და იარაღს მამაცათ ხელი ჩაჰკიდეს.

ს. უუმუსთაველი.



ფუჯრების ამოცანა.

600	100	10	200	300
5	1	700	200	
4	3	1		

ციფრების ნაცვლათ ჩასვეთ ქართული ქორონიკონი.

გ ა მ ო ც ა ნ ა.

(წარმოდგენილი ალ. შიუკაშვილისგან).

დედა ისევ ცოცხალი მყავს საფლავშია წვეს ძირსაო,
ჩემი დანახვა კაცისთვის მართლა რომ რათმე ღირსაო,
მაგრამ ვინც შემებრძოლება ვერასა ნახავს ლხინსაო,
წაუქცეველს არ გავუშვებ ვაქკაცათ ნაქებ გმირსაო.
ჭკუა-გონებას შევუშლი, ჩავაგდებ სადმე თხრილსაო;
თუ თავი არ დამანება გავუჩენ შუდმივ ჭირსაო.

(№ III „ჯეჯილში“ მოთავსებული)

სამი გამოცანის ახსნა

— მეტი ღონე არ არის რაკი ვერავინ გამოვიცანით უნდა ჩვენვე ავხსნათ ჩვენი გამოცანები. აბა, ძია, შენ დაიწყე, მიმართა ეასომ ბიძიას.

— ჰმ... გაიღიმა ბიძამ—მე თითონ ვარ ის, რომელიც ერთი წლისა გახდა და აღდგომა არ ენახა. იმ წელიწადს აღდგომა იყო 31 მარტს და მე მესამე დღეს, ორს აპრილს დავიბადე, ერთი წლისა შევსრულდი მეორე აპრილის ორს და აღდგომა იმ წელიწადს თექვსმეტ აპრილს გათენდა. ახლა შენ, ვასო.

— სირბილი არ შეუძლიან და დახტის-კი—ეს რეზინის ბურთია, ძიავ, და ხტომა არ იცის და ხან-და-ხან კი გაიქცევა—ეს არის რძე, რომელმაც ხტომა არ იცის, მაგრამ თუ ადუღების დროს თვალი მოაშორე უცებ ქვაბიდან ძირს გადმოვა.

— აბა, პეტო, რა დროს შეიძლება, რომ რამე კითხვაზე ჰოვერ გიპასუხონ.

— იმ დროს, როდესაც კაცს სძინავს და შენ დაეკითხები—გძინავს?

ა ხ ს ნ ა

„ჯეჯილის“ გამოცანებისა:

№ II

გამოცანები: 1) გუთანი, 2) კოღო.

აკროსტიხი: სწავლა.

შარადა: 1) ქართველი, 2) ჭა—არა—აჭარა—რაჭა.

ამოცანა: ჯერ ორათ გასჭრა, მერე შედო ერთი მეორეზე და ორივე ერთათ შუა გასჭრა, შემდეგ ოთხივე ნაჭერი შესდო ერთმანეთზე და ერთათ სულ ყველა კიდევ შუა გასჭრა და გამოვიდა რვა.

№ III

გამოცანები: 1) საზამთრო, 2) თმა.

ანაგრამა: მაკა—კამა.

რებუსი: აზრუმელი თათარი ღორის თავს მეცილებოდა.

გამოცანა: კიბე.

შარადა: სა-ხე-ლი.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.